# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 2 თებერვალი, 2013 წელი.

№20 (7147)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


## ელიტარული კორუფციის მამამ საბოლოოდ გამოუთხარა ძირი სააკაშვილს!

### სადაც არ უნდა იყოს კეზერაშვილი, მისი ექსტრადირება პრობლემა არ იქნება ③



## გაიტანეთ ეს ნაგავი! ④

სახელმწიფოსა და ხალხის საკუთრებით ვიღაცებმა კი არა, სწორედ სახელმწიფომ და ხალხმა უნდა ისარგებლონ!

## სააკაშვილის პარტიის მთავარ იმედს დაკითხვისთვის ამზადებენ ⑧

თბილისის მერ გიორგი უგულავაზე ეჭვობენ, რომ იგი დიდ საფინანსო დარღვევებშია გარეული

## თბილისის ბიუჯეტს შესეული ნაცვირთხების საქმე იხსნება ②

## განვიხილავთ... ოღონდ 20 წლის შემდეგ



ქალაქ თბილისის საკრებულო ურჩევს ბატონებს ჭაბუა ამირეჯიბს (ბერი დავითი), ჯანსუღ ჩარკვიანს, ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილს თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის ირინა ენუქიძის სახელის მისანიჭებლად მიმართონ 20 წლის შემდეგ, ხოლო დიდი მეფის, დავით აღმაშენებლის ძეგლის პირვანდელ ადგილზე დასაბრუნებლად მიმართონ კეთილმოწყობის (დასუფთავების) სამსახურს.



⑤

## კვირაძალს საკითხავი

### ქართული განძის სამწუხარო რეალობა





⑥

### ჯანრი კაშია მკითხველთან და მკითხველის გარეშე ⑦

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ მხილება

# თბილისის ბიუჯეტს შესეული ნაცვირთხების საქმე იხსნება

**დედაქალაქის ბიუჯეტიდან 5 245 945 ლარის გაფლანგვის ფაქტზე ბრალეულთა პასუხისგებაში მიცემა უახლოეს დღეებში გადაწყდება. ამასთან დაკავშირებით ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური განცხადებას ავრცელებს. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო**



**სამსახური, როგორც იცით, შპს „თბილსერვის ჯგუფის“ საქმიანობას სწავლობს, რომელიც თბილისის მერიამ ქალაქის დასუფთავების მიზნით 2006 წელს დააფუძნა.**

გამოძიებით ამ დროისთვის დადგენილია, რომ 2009 წლის 31 დეკემბერს შპს „თბილსერვის ჯგუფის“ იმჟამინდელმა გენერალურმა დირექტორმა გიორგი ხუჭუამ, მერიის დასუფთავების სამსახურის იმჟამინდელი უფროსის ტარიელ ხიზანეიშვილის დავალებით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის„ აქტივისტების მატერიალური უზრუნველყოფის მიზნით, ამ სამსახურში ფორმალურად შექმნა „საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება“, სადაც, 2 წლის განმავლობაში, ფიქტიურად დასაქმდა აღნიშნული პოლიტიკური პარტიის 764 აქტივისტი — ე.წ. პარტიული კოორდინატორი. უმეტესობას ამ სამსახურში არც ერთი დღე არ უმუშავია, რადგან ისინი, როგორც წესი, უკვე დასაქმებულები იყვნენ სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებში და პარალელურად პარტიულ საქმიანობასაც ეწეოდნენ, თუმცა დედაქალაქის ბიუჯეტისთვის განკუთვნილი ასიგნებებიდან მათ ხელფასის სახით 5 245 945 ლარი დაერიცხათ.

გამოძიებით ირკვევა, რომ 2010 წლის 6 აგვისტოს, „თბილსერვის ჯგუფის“ საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი დედაქალაქის მოქმედმა მერმა — გიგი უგულავამ დაამტკიცა. რაც შეეხება დასუფთავების სამსახურის ყოფილ უფროსს, ტარიელ ხიზანეიშვილს, იგი ამჟამად ვიცე-მერის თანამდებობას იკავებს.

გამოძიება ინტენსიურად მუშაობს 5 245 945 ლარის გაფლანგვის ფაქტზე და უახლოეს დღეებში გადაწყვეტს ბრალეულ პირთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხს, — ნათქვამია განცხადებაში.

მთავარი პროკურატურა „თბილსერვის ჯგუფში“ ფორმალურად დასაქმებული არც ერთი თანამშრომლის პასუხისგებაში მიცემის საკითხს არ განიხილავს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ მთავარმა პროკურორმა, არჩილ კბილაშვილმა განუცხადა.

— ამ შემთხვევაში დევნას არც ერთი დასაქმებული პირის მიმართ არ ვაწარმოებთ. დიდი ალბათობით, არც განიხილება მათი პასუხისმგებლობაში მიცემის საკითხი, თუმცა ზუსტ სამართლებრივ კვალიფიკაციას და ცალკეულ პირთა ბრალეულობის საკითხს გადავწყვეტთ ყველა ფაქტობრივი გარემოების დასრულების შემდეგ, რაც, ფაქტობრივად, დასრულებულიცაა და დარჩენილია მხოლოდ თბილისის მერის დაკითხვა. ბუნებრივია, ჩვენ ვალდებული ვართ დავკითხოთ მერი, რომელიც თვითონაც ადასტურებს მის კავშირს ამ გადაწყვეტილების მიღებასთან და აუცილებლად დავკითხავთ კიდეც. მის გარდა ასეულობით პირთა დაკითხვა უკვე განხორციელდა, — განაცხადა კბილაშვილმა.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა „თბილსერვის ჯგუფში„ ფიქტიურად დასაქმებულებს შორის „თეატრალური კვარტეტის“ წევრები აღმოაჩინა. როგორც ქართულ ტელეკომპანიებს გამომძიებელმა ირაკლი შოთაძემ განუცხადა, „თეატრალური კვარტეტის“ წევრებმა ორი წლის განმავლობაში ხელფასის სახით 70 ათასი ლარი მიიღეს.

— თბილსერვის ჯგუფთან“ დაკავშირებული საქმის გამოძიების მიმდინარეობისას გამოვლინდა, რომ ფიქტიურად დასაქმებული იყვნენ ცნობილი პიროვნებები, კერძოდ „თეატრალური კვარტეტის“ ბიჭები. ისინი გაფორმებულნი იყვნენ სამსახურში 2010 წლიდან 2012 წლის ნოემბრის ჩათვლით, როგორც სპეც ალპინისტ-დამგველები და ხელფასის სახით ამ პერიოდის განმავლობაში დარიცხული აქვთ 70 ათასი ლარი, — განაცხადა ირაკლი შოთაძემ.

ამასთან, გამომძიებლის ინფორმაციით, აღნიშნულ სამსახურში ფიქტობრივად დასაქმებულ 700-ზე მეტ ადამიანს შორის, ამ ეტაპისთვის, გამოძიებას საზოგადოებისთვის ცნობილი სხვა პირები არ გამოუვლენია.

**ავთო ბექაური**

◉ „უმაღლესი მთავარსარდალი“

# როგორ დასცინეს ოფიცრებმა მიხეილ სააკაშვილს...

**როგორც საინფორმაციო საშუალებებმა 2013 წლის 29 იანვარს გადმოსცეს: მიხეილ სააკაშვილი გორში სამხედრო აკადემიის მსმენელებს შეხვდა. შეხვედრაზე მან წარმოადგინა „ლაგატკა“. სააკაშვილმა მსმენელებს უამბო, რომ ეს „შურდული“ 2004 წელს ქართველმა ოფიცრებმა სამახსოვრო იარაღად აჩუქეს. ამ**



**იარაღით ყოფილა შეიარაღებული იმ დროს საქართველოს ჯარი.**

ამ გადაცემის შემდეგ დაგვეუფლა იმის რწმენა, რომ ქართველმა ოფიცრებმა იმ დროს ახლადარჩეული პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სასაცილოდ აიგდეს; მიანიშნეს, რომ მას, საქართველოს უმაღლეს მთავარსარდალს, სამხედრო საქმეში ეფრეიტორის დონის განთლება ჰქონდა (სააკაშვილს ჯარში სამსახურისას ეფრეიტორის ჩინამდე მიუღწევია). თუ ეს პრეზიდენტის დაცინვა არ იყო, მაშინ ოფიცრებს საკუთარი თავისათვის დაუცინიათ, რომ „ლაგატკებით“ შეიარაღებულ ჯარში მსახურობდნენ.

შემდგომმა წლებმა დაადასტურეს, რომ სააკაშვილი სამხედრო საქმეში აბსოლუტურად არაკომპეტენტური პირია.

რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შემდეგ, რომელშიც როგორც უმაღლესმა მთავარსარდალმა, ისე ჩვენმა ოფიცრებმა თავი ვერ გამოიჩინეს, სააკაშვილმა სამხედრო დანიშნულების ქარხნის დათვალიერებისას სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ იმ ომში საქართველოს ჯარს არ ჰქონდა სამამულო წარმოების იარაღი.

ჩენ რომ ასეთი უპილოტო თვითმფრინავები გვქონოდა, სხვა ქვეყნებში მათ არ შევიძენდით და ასე მარტივად მოწინაამდეგე მათ ვერ ჩამოყრიდაო, განაცხადა მიხეილმა უპილოტო თვითმფრინავების დათვალიერების შემდეგ. იგივე სიტყვები გაიმეორა, როცა ქარხანაში წარმოებული ტანკსაწინააღმდეგო ნაღმები იხილა.

ვუშვებთ რომ უპილოტო თვითმფრინავების გამოშვებას ნაციონალები თავს ვერ დაადგამდნენ, მაგრამ ტანკსაწინააღმდეგო ნაღმებს ხომ ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომის დროს იყენებდნენ? ერთი საუკუნის წინათ შეიარაღებაში არსებული ნაღმები რატომ არ უნდა ჰქონოდა საქართველოს ჯარს?

ჩვენი აზრით, ეს არის სამხედრო საქმის სრული უცოდინარობა და ქვეყნის თავდაცვის „ერთ ადგილზე“ დაკიდება.

მართლაც სიმბოლური დატვირთვა ჰქონია „ლაგატკა-შურდულის“ ჩუქებას.

**ნუგზარ კობახიძე**

◉ ინფორმაცია

# „შეგზავნილი აგენტები“ თავისუფალ დემოკრატებში

**„თავისუფალი დემოკრატები“ არ გამორიცხავენ, რომ მათ რიგებში „შეგზავნილი აგენტები“ მართლაც იყვნენ. ამის შესახებ პარტიის წარმომადგენელმა, დეპუტატმა გია ცაგარეიშვილმა „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ წევრის, უმრავლესობის ლიდერის დავით საგანელიძის განცხადებაზე კომენტირებისას განაცხადა.**

**— არ გამოვრიცხავ, რომ ბევრ პარტიაში, მათ შორის კოალიციაში შემავალ პარტიებში შემოგზავნილი აგენტები იყვნენ. სამწუხაროდ, „ნაციონალური მოძრაობა“ ძალიან ოსტატურად ახერხებდა ოპოზიციურად განწყობილ ჯგუფებში აგენტების ჩანერგვას, რომლებიც თავის შავ-ბნელ საქმეს წარმატებით აკეთებდნენ. არ გამოვრიცხავ, რომ მათ შორის „თავისუფალ დემოკრატებშიც“ იყვნენ ასეთი ადამიანები, — განაცხადა გია ცაგარეიშვილმა.**



**მისივე განმარტებით, პარტია „თავისუფალმა დემოკრატებმა„ საკუთარი წევრების გადამოწმება უკვე დაიწყო.**

**— ჩვენ უკვე დავიწყეთ მუშაობა და ყველა ადამიანი გადამოწმდება, განსაკუთრებით იმ რაიონებში, რომელზეც ბატონი დავითი საუბრობს, რომ „ქართულ ოცნება — დემოკრატიულ საქართველოს“ პრობლემები შეექმნა. როცა პარტიამ რაიონული ორგანიზაციების დაფუძნება დაიწყო, გავაფრთხილეთ ჩვენი თანაპარტიელები, რომ არანაირ ინციდენტში არანაირი ფორმით არ მიეღოთ მონაწილეობა, ვინც დავალება არ შეასრულა, რა თქმა უნდა, პასუხს აგებს და რა თქმა უნდა, მისი მომავალი პარტიაში ძალიან დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება, — აღნიშნა ცაგარეიშვილმა.**

**პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნების„ წარმომადგენელი დავით საგანელიძე „თავისუფალ დემოკრატებს„ რაიონული ორგანიზაციებიდან რიგი წარმომადგენლების გარიცხვის მოთხოვნით მიმართავს, წინააღმდეგ შემთხვევაში, აცხადებს, რომ „სხვა დასკვნებს გამოიტანს“.**

**საქმე სხვადასხვა რაიონებში, „ქართული ოცნების“ პარტიული ორგანიზაციების დაფუძნებისას მომხდარ ინციდენტებსა და ჩაშლილ კონფერენციებს ეხება, სადაც დავით საგანელიძემ „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები და მათთან ერთად, „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენლები „ამოიცნო“.**

## არენაზე თარგამაძეც გამოჩნდა

**გამარჯვებულ პოლიტიკურ ალიანსში ორი მკაფიოდ გამოკვეთილი პროდასავლური ძალის დასუსტება მიმდინარეობს, — ამის შესახებ გუშინ ჟურნალისტებთან შეხვედრაზე „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა გიორგი თარგამაძემ განაცხადა.**



**მისი თქმით, საქართველოში პროდასავლური პარტიების კრიზისი ნამდვილად შეინიშნება და ეს პროცესი შეიძლება კიდევ უფრო გაღრმავდეს.**

**— გამარჯვებულ პოლიტიკურ ალიანსში არის ორი მკაფიოდ გამოკვეთილი პროდასავლური ძალა, რომელთა ლიდერებისა და თავად ამ პარტიების მიზანმიმართული დასუსტება მიმდინარეობს, კვალდაკვალ თავად პარტია „ქართული ოცნების“ გაძლიერებისა და მის სათავეში ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ჩადგომისა. ის, რომ ბიძინა ივანიშვილი ერთი რომელიმე კონკრეტული პარტიის ხელმძღვანელი იქნება, კოალიციის შიგნით თანაბარ კონკურენციას გამორიცხავს. ეს ავტომატურად ნიშნავს იმას, რომ ამ გამოკვეთილად პროდასავლური პარტიების მომავალი სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება, მათ შორის კოალიციის შიგნითაც, — აღნიშნა გიორგი თარგამაძემ.**

**მისივე თქმით, საქართველოში, პოლიტიკურ პარტიებში ნელ-ნელა მძლავრობს რუსეთის მიმართ, რბილად რომ ითქვას, ლოიალური დამოკიდებულებები.**

**როგორც თარგამაძემ აღნიშნა, თბილისის აეროპორტში რიგი დგას იმ პოლიტიკური მოღვაწეებისა თუ ლიდერების, რომლებიც საქართველოში ჩამოდიან, ან ბრუნდებიან იმ განაცხადით, რომ საქართველოში პრორუსულ პარტიებს დააარსებენ.**

**— ასე რომ, ჩვენ მიგვაჩნია, დღეს უკვე დუმილის დრო აღარ არის, დღეს არის აქტიური მოქმედების დრო, მით უმეტეს პროდასავლურ ფლანგზე, — აღნიშნა გიორგი თარგამაძემ.**

**ინტერპრესი**

◉ მინისტრის მოსაზრება

# კიდევ ერთხელ საზოგადოებისთვის თავსმოხვეულ ბარათებზე

**„ნეტგაზეთმა“ გაავრცელა ID ბარათებზე იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის მიერ რუსთავი 2-ის ეთერში გამოხატული მოსაზრება.**

„სამწუხაროდ, ახლა მე მიწევს ამის კეთება. ღიად ვამბობ, ვიმყოფები იმ რთულ მდგომარეობაში, როდესაც უკვე არსებული ფენომენის ფუნქციონირების პირობებში მიწევს იმ სამუშაოს ჩატარება, რაც მანამდე უნდა ჩატარებულიყო. არავინ უარყოფს, რომ ევროკავშირი ჩვენგან, მოლაპარაკების გაგრძელების ერთ-ერთ წინაპირობად აყენებს იმას, რომ საქართველოს მოქალაქეებს ID ბარათები უნდა ჰქონდეთ. ამას არავინ აპროტესტებს. მე ვამბობ იმას, რომ როდესაც ასეთი სიახლე შემოგაქვს, და იცი, რომ არის სერიოზული წინააღმდეგობა ამგვარი ფენომენისადმი, ჯერ უნდა ახსნა-განმარტებითი სამუშაო ჩაატარო. სხვათა შორის, პიარკამპანია, რომელიც ბატონმა ვაშაძემ აწარმოა ID ბარათთან დაკავშირებით, იყო აბსოლუტურად ტყუილზე დაფუძნებული. იქ იყო ნათქვამი, რომ ეს ბარათი არის უფრო მეტი, ვიდრე პირადობის მოწმობა. ამ დროს ID ბარათი არ არის უფრო მეტი, ვიდრე პირადობის მოწმობა და არ შეიცავს არანაირ ისეთ ინფორმაციას, რომელიც საშუალებას აძლევს ვიღაცას კოსმოსში გვაკონტროლოს,“ — განაცხადა მინისტრმა.

იუსტიციის სამინისტრო აგრძელებს შეხვედრებს და ატარებს კვლევას, რომ ზუსტად გაიგოს, ვის რა აწუხებს.

„ამ კვლევაში მოვიწვიე სასულიერო პირებიც, რომ ზუსტად აგვიხსნან, რა კუთხით ეწინააღმდეგება რელიგიურ დოქტრინას ID ბარათი. აგრეთვე, ვატარებთ კვლევას, რომ საზოგადოებაში ზუსტი სურვილები და პრეტენზიები დავინახოთ. ვატარებთ პრეზენტაციებს, სადაც ახსნილია ერთი ძალიან მარტივი რამ: თუ ID



ბარათს კომპიუტერთან არ შევაერთებთ, ის აბსოლუტურად იგივეა, რაც ჩვეულებრივი ლამინირებული ბარათი“.

მინისტრის თქმით, „თავს მოხვეულმა ID ბარათმა არაერთ ოჯახს შეუქმნა დიდი პრობლემა, თუნდაც ბავშვის აცრის ან განათლების მიღების მხრივ, და ეს პრობლემები არ უნდა დარჩეს პრობლემებად“.

**ნატა ნიბლაძე**

◉ გასწორება

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ა. წ. 31 იანვარს გამოქვეყნებულ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განცხადებაში, მედიცინის განყოფილების სპეციალობათა დასახელების ბოლოს ზედმეტია ციფრი „1“, ხოლო გამოყოფილ ადგილების ბოლოს — ციფრი „2“).**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# ელიტარული კორუფციის მამამ საბოლოოდ გამოუთხარა ძირი სააკაშვილს!

## სადაც არ უნდა იყოს კეზერაშვილი, მისი ექსტრადირება პრობლემა არ იქნება



**საჯარო მოხელის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფულის მოთხოვნისა და ქრთამის მიღების, ასევე, საფინანსო საქმიანობის სფეროში ჩადენილი დანაშაულის ფაქტებზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, ყოფილი მაღალჩინოსანი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის ყოფილი უფროსი, საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი ბრალდებულად ცნეს.**

**„გამოძიებით დადგინდა, რომ დავით კეზერაშვილმა პირადი სარგებლის მიღების მიზნით, თანხმობა განუცხადა დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს – ნიკოლოზ დავითაშვილს და იოსებ იმნაძეს, რათა გამოეყენებინა მისი პირადი სამსახურებრივი მდგომარეობა და მფარველობა გაეწია აღნიშნული პირების უკანონო საქმიანობისთვის. კერძოდ, დავითაშვილმა და იმნაძემ განიზრახეს დადგენილი ტექნოლოგიების უხეში დარღვევით – ყურძნის მასალასთან ეთილის ან სხვა სახის სპირტის შერევით და ტექნოლოგიური მანიპულაციებით ეწარმოებინათ ფალსიფიცირებული საკონიაკე სპირტი. ეთილის სპირტისაგან კონიაკის სპირტის მსგავსი სითხის დამზადებით მცირდება კონიაკისებური სპირტის თვითღირებულება და მნიშვნელოვნად იზრდებოდა მისი რაოდენობა.**

**განზრახვის სისრულეში მოსაყვანად აღნიშნულმა პირებმა დაარეგისტრირეს შპს „განთიადი“ და შპს „ნაფარეული“. სახელმწიფო გადასახადებისგან თავის არიდების მიზნით, მათ შეადგინეს დანაშაულებრივი სქემა, თუ როგორ უნდა შემოსულიყო ეთილის სპირტი შიდა ბაზარზე ისე, რომ არ მოქცეულიყო იმპორტის დაბეგვრის რეჟიმში. აღნიშნულ პირებს საქმიანობაში დასჭირდებოდათ სახელმწიფო სტრუქტურათა მაღალჩინოსნების მხარდაჭერა, რომლებიც გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ, მფარველობას გაუწევდნენ. ისინი დაუკავშირდნენ ფინანსური პოლიციის იმჟამინდელი უფროსის დავით კეზერაშვილის დის ქმარს მეირი ჯანაშვილს, გაანდეს დანაშაულებრივი გეგმა და სთხოვეს შუამდგომლობა დავით კეზერაშვილთან. ჯანაშვილი მოელაპარაკა კეზერაშვილს, რომ მას სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენებით ხელი შეეწყო უკანონო საქმიანობისთვის. კეზრაშვილმა, იმის ნაცვლად, რომ მიეღო ზომები დანაშაულებრივი სქემის აღსაკვეთად, რაც მისი უშუალო მოვალეობა იყო, რადგან იმ პერიოდში იმყოფებოდა ფინანსური პოლიციის უფროსის თანამდებობაზე, დათანხმდა უკანონო ბიზნესის მფარველობას და ქრთამის აღებას“,** – ნათქვამია ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ამავე უწყების ინფორმაციით, დავით კეზერაშვილი იღებდა ვალდებულებას საბაჟო, საგადასახადო და სხვა მაკონტროლებელ ორგანოებზე თავისი ავტორიტეტით და გავლენით მოეხდინა ზემოქმედება. იმნაძემ და დავითაშვილმა თანხმობის მიღების შემდეგ, უკრაინულ სპირტის საწარმოს შეუკვეთეს 480 ტონა ეთილის სპირტი და დაიწყეს საქმიანობა.

**2007 წლის 8 იანვარს 240 ტონა სპირტი დავით კეზერაშვილის დახმარებით საქართველოში შემოვიდა, რის სანაცვლოდაც კეზერაშვილმა ქრთამის სახით აიღო 72 000 აშშ დოლარი. ამავე წლის 5 თებერვალს აღნიშნულმა პირებმა საქართველოში კვლავ 240 ტონა სპირტი შემოიტანეს. კეზერაშვილმა დამატებით ისევ 72 000 აშშ დოლარი აიღო. 2007 წლის 7 თებერვლიდან 11 მაისის ჩათვლით საქართველოში სულ შემოტანილ იქნა 2 445 065 ლიტრი სპირტი, დავით კეზერაშვილმა კი ქრთამის სახით 733 519 აშშ დოლარი აიღო.**

**2007 წლის მაისის ბოლოს უკვე თავდაცვის მინისტრმა კეზერაშვილმა ქრთამის სახით გადასახდელი თანხის გაზრდა მოითხოვა. შესაბამისად, 2007 წლის 8 ივნისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით საქართველოში შემოტანილ 3 353 269 ლიტრ სპირტზე აიღო 2 011 961 აშშ დოლარი. 2008 წლის იანვრიდან კეზერაშვილმა კვლავ გაზარდა ქრთამად მისაღები თანხის რაოდენობა და 2 203 646 ლიტრ სპირტზე 1 542 552 აშშ დოლარი აიღო. 2008 წლის ოქტომბრიდან დეკემბრამდე შემოტანილ 410 252 ლიტრ ეთილის სპირტზე ქრთამად აიღო 237 946 აშშ დოლარი. თავდაცვის მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ, დავით კეზერაშვილმა გააგრძელა დანაშაულებრივი საქმიანობა, სათავეში ჩაუდგა ორგანიზებულ ჯგუფს, თავისი ავტორიტეტით თანამდებობრივ გავლენას ახდენდა საბაჟო სამსახურზე და ხელმძღვანელობდა კონტრაბანდული სპირტის საქართველოში შემოტანას და 163 230 ლიტრი სპირტის შემოტანის შედეგად უკანონოდ მიიღო 94 673 აშშ დოლარი. 2009 წლიდან 2012 წლამდე სხვადასხვა პერიოდში კეზერაშვილმა კონტრაბანდული საქმიანობის შედეგად მიიღო 7 570 032 აშშ დოლარი.**

**„საერთო ჯამში, დავით კეზერაშვილს, როგორც მოხელეს ქრთამის სახით 4 669 978 აშშ დოლარი, ხოლო როგორც ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის ხელმძღვანელს, კერძო პირს 7 664 705 აშშ დოლარი აქვს მიღებული. ამ თანხებს კეზერაშვილი შუამავლის – მისი დის მეუღლის, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრის მეირი ჯანაშვილის მეშვეობით ღებულობდა. ამ წლების მანძილზე დანაშაულებრივი მანიპულაციებით საქართველოში სულ შემოიტანეს 19 868 312 ლიტრი ეთილის სპირტი, გადასახადების დამალვის სახით სახელმწიფომ იზარალა 49 392 341 ლარი. თავად კეზერაშვილმა კი საერთო ჯამში, უკანონო შემოსავლის სახით მიიღო 12 334 683 აშშ დოლარი“, – აცხადებენ ფინანსთა სამინისტროში, სადაც გამოძიება ოთხი მუხლით მიმდინარეობს და ეს მუხლები 11-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.**

ეს არის ოფიციალური ვერსია, რომლის გამოც თავდაცვის ყოფილი მინისტრი ბრალდებულად სცნეს, მაგრამ საქართველოს მოსახლეობისთვის კეზერაშვილის კიდევ ბევრი საგმირო საქმეა ცნობილი. ასევე საყოველთაოდ ცნობილია მისი ბიზნესინტერესები, რომლებიც საკმაოდ ფართო არეალს მოიცავს. მაგალითად, კეზერაშვილის სახელთან იყო დაკავშირებული „საქართველოს ლატარიის კომპანია“, რომელიც ქართულ ბაზარზე 2009 წელს შემოვიდა და ამ სფეროს მონოპოლიზება მოახდინა. „ლატარიის კომპანიის“ 100%-იანი წილის მფლობელი არის „ლექსორ კაპიტალ კორპ“, რომელიც ოფშორში, ვირჯინიის კუნძულებზეა დარეგისტრირებული, თუმცა, არაოფიციალურად ცნობილია, რომ იგი კეზერაშვილის საკუთრებაა. იგივე მოხდა კეზერაშვილის სახელთან დაკავშირებულ კიდევ ერთ კომპანიასთან, ნავთობიმპორტიორ „გალფთან“ დაკავშირებით, რომლის ბაზარზე გამოჩენამაც მსხვილი კომპანიები „ლუკოილი“, „ეკო ჯორჯია“ და „მაგნატი“ შეიწირა. გავრცელებული ინფორმაციით, ფინანსური პოლიციის შეფობისას დავით კეზერაშვილმა ბენზინგასამართი სადგურების მფლობელების წინააღმდეგ ბევრი კომპრომატი დააგროვა და, შესაბამისად, მათი ხელში ჩაგდების სურვილიც გაუჩნდა. **კიდევ ერთი მსხვილი გარიგება, რაც კეზერაშვილსა და წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნებს შორის მოხდა, „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ 70%-იანი წილი ხუთწლიანი მართვის უფლებით „საქართველოს ფოსტას“ გადაეცა.**

კეზერაშვილს ინტერესები სარეკლამო ბაზარზეც ჰქონდა. კერძოდ, სარეკლამო ბაზრის მონოპოლისტი კომპანიის, „ჯენერალ მედიას“ უკან პანამისა და ვირჯინიის კუნძულებზე, ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული ფირმები იდგნენ, რომელთა მფლობელები თუ მმართველები მუდმივად იცვლებოდნენ, მაგრამ ყველას ყოფილ თავდაცვის მინისტრ დავით კეზერაშვილთან ნათესაური ან მეგობრული კავშირი ჰქონდა. კეზერაშვილის სახელს უკავშირდებოდა ასევე გარე რეკლამის ბაზრის სრული კონტროლი, რასაც კომპანია „აუთდორ.ჯი“-ს საშუალებით ახორციელებდა.

საკუთარი ბიზნესი თავდაცვის ყოფილი მინისტრის ცოლს სოფო ჩიქოვანსაც აქვს. იგი სამშენებლო კომპანია „არტიქსის“ დამფუძნებელია და სწორედ მის სახელს უკავშირდება 2009 წლის 26 აპრილს დატრიალებული ტრაგედია. კერძოდ, ამ დღეს, 2009 წლის 26 აპრილს, დილის 5 საათზე, სანდრო ეულის ქუჩაზე სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის ხუთსართულიანი შენობა ჩამოინგრა. შენობაში, სადაც სატელევიზიო შოუ „ვარსკვლავების აკადემია“ მზადდებოდა, პარალელურად, სარეკონსტრუქციო სამუშაოებიც მიმდინარეობდა. სამუშაოების არასწორად წარმოებამ კი გამოიწვია შენობის იმ ნაწილის ჩამონგრევა, რომელშიც იმყოფებოდნენ შოუს მონაწილენი და ტელევიზიის თანამშრომლები – მემონტაჟეები და ჟურნალისტები. უბედური შემთხვევის შედეგად ტელეკომპანიის ორი თანამშრომელი, გიორგი გაბუნია და ნიკა გელაშვილი გარდაიცვალნენ. სარეკონსტრუქციო სამუშაოებს კომპანია „არტიქსი“ ასრულებდა და, არაოფიციალური ვერსიით, შენობის ნგრევა საყრდენი კედლების გამოცლამ გამოიწვია, თუმცა, ეს საქმე ისე ჩაიფარცხა, რომ არასწორად ჩატარებული სამუშაოების გამო არავინ დასჯილა. რა თქმა უნდა, სოფო ჩიქოვანი ამას თავის გავლენიან მეუღლეს უნდა უმადლოდეს.

კიდევ ერთი სკანდალი, რომელიც დავით კეზერაშვილს და მისი თავდაცვის მინისტრად მუშაობის პერიოდს ეხება, არის ისტორია, რომელზეც ცნობილი საინფორმაციო პორტალმა **WikiLeaks** გაავრცელა ინფორმაცია. საუბარია იმაზე, რომ ისრაელმა რუსეთს გადასცა იმ არხების კოდები, რომელსაც საქართველო იყენებდა უპილოტო საფრენ აპარატებთან, რუსეთმა კოდების სანაცვლოდ ისრაელს ირანში განლაგებული რუსული ზენიტური დანადგარების კომპლექსის ტორ-მ1-ის შესახებ საიდუმლო ტექნიკური ინფორმაცია მიაწოდა. მოგვიანებით, საქართველომ თავისი უპილოტო საფრენი აპარატების წარმოება დაიწყო, რომლებიც შეცვლიდნენ ისრაელის საფრენ აპარატებს Hermes-ს და Skylark-ს (კომპანია Elbit Systems-ი, რომელიც აწვდიდა საქართველოს) 2007 წელს. მაშინ კომენტარი პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ, გივი თარგამაძემ გააკეთა და განაცხადა, რომ საუბარია 35 მილიონი დოლარის ღირებულების ტექნიკაზე, რომელსაც საქართველო უკან ისრაელში აბრუნებს. თარგამაძემ აღნიშნა, რომ ამგვარი გადაწყვეტილების საფუძველი Elbit-სა და საქართველოს შორის უთანხმოება გახდა. Elbit Systems-მა უჩივლა საქართველოს 2007 წელს დადებული კონტრაქტის შეუსრულებლობის გამო და კომპენსაციის სახით 100 მილიონი დოლარი მოითხოვა. ამ კონტრაქტის გაფორმების დროს კი თავდაცვის მინისტრი სწორედაც დავით კეზერაშვილი იყო.

ახლა კი რას ამბობენ ექსპერტები და რა ინფორმაცია აქვთ მათ კეზერაშვილის ბიზნესინტერესებთან დაკავშირებით. ქართულ ბაზარზე კონკურენციის არსებობა-არარსებობის საკითხზე არაერთი კვლევა არის ჩატარებული და ერთ-ერთი ასეთი არასამთავრობო ორგანიზაციას „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ეკუთვნის. კვლევა გასულ წელს ჩატარდა და ნავთობის ბაზარს ეხებოდა. ეს კი ერთ-ერთი იმ სფეროთაგანია, სადაც დავით კეზერაშვილს ინტერესები ჰქონდა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ანალიტიკოსი ნათია კუტივაძე ორგანიზაციის მიერ გასულ წელს ჩატარებული კვლევის საფუძველზე ამბობს, რომ ქვეყანაში შექმნილი ვითარება ნავთობის სექტორში ფარული გარიგების შესაძლებლობაზე, შესაბამისად, თავისუფალი კონკურენციის წესების შეზღუდვასა და კონკურენტული გარემოს არარსებობაზე მიუთითებს. თუმცა, მისი თქმით, საბოლოო დასკვნა ამ შემთხვევაში სახელმწიფო ორგანომ უნდა დადოს.

ანალიტიკოსი ამბობს, რომ კვლევის ფარგლებში ნავთობის ბაზარზე ხუთი კომპანია აღირიცხა („ლუკოილი“, „ვისოლი“, „გალფი“, „სოკარი“, „რომპეტროლი“), რაც ოლიგოპოლიაზე საუბრის საფუძველს იძლევა. კერძოდ, თუ ეს კომპანიები ერთმანეთთან შეთანხმდებიან, პარალელურ ფასებს დააწესებენ და მომხმარებლისთვის ამის შედეგი მაღალი ფასებია, გამოდის, რომ ეს ხუთი კომპანია ბაზარზე მოქმედებს, როგორც ერთი და ეს ვითარება მონოპოლიისგან არაფრით განსხვავდება.

**„ფასების ტენდენციებს რომ დავაკვირდით, ჩვენი კვლევა აჩვენებს, რომ ბაზარზე არსებობდა ფასების პარალელიზმი და ამ კომპანიებზე პარალელური ქმედებები იკვეთებოდა. კერძოდ, ისინი ერთსა და იმავე დროს უმატებდნენ ფასებს, ასევე ერთსა და იმავე დროს აკლებდნენ ფასებს და ფასების ცვლილებაც ერთსა და იმავე ფარგლებში ხდებოდა. ამდენად, ფასების აბსოლუტური კორელაცია ხდებოდა“,** – ამბობს ანალიტიკოსი.

ამდენად, ნავთობიმპორტიორებს ბაზარზე ოლიგოპოლიური მდგომარეობა ჰქონდათ მოპოვებული, ამასთანავე, კონტრაბანდული პროდუქციის შემოტანასაც ეწეოდნენ და გარდა იმისა, რომ ბაზარზე ხელოვნურად გაბერილ ფასებს აწესებდნენ, არადეკლარირებული საწვავის რეალიზაციის შედეგად ზემოგებასაც ნახულობდნენ.

**„ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის“ პრეზიდენტი ნოდარ ჭიჭინაძე ამბობს, რომ დავით კეზერაშვილი ყოფილი ხელისუფლების ის მაღალჩინოსანი იყო, რომლის პიროვნების თანაკვეთა ბიზნესსფეროსთან ყველაზე ხშირი და აქტიური იყო. განსაკუთრებით მისი აქტიურობა შეინიშნებოდა სხვადასხვა კონკრეტული ბიზნესების მითვისებასთან, რომელთაგან ყველაზე ცნობილი ფაქტები „ელიტ ელექტრონიქსს“ და ნავთობკომპანია „მაგნატს“ უკავშირდება.**

**„აღსანიშნავია ისიც, რომ ორივე ამ შემთხვევაში ბიზნესის წართმევის ერთსა და იმავე სქემას ქონდა ადგილი. მართალია, „ელიტ ელექტრონიქსის“ ოფიციალური მეწილე დავით კეზერაშვილი არ ყოფილა, მაგრამ კომპანიის გასხვისების შემდგომ მის მენეჯმენტში ნავთობკომპანია „გალფის“ კადრები აღმოჩნდნენ, რომელიც კარგად მოგეხსენებათ, დავით კეზერაშვილის კუთვნილი კომპანია იყო. გარდა ამისა, დავით კეზერაშვილი იყო „ლუკოილ ჯორჯიას“ მეწილე. მას ასევე ჰქონდა ექსკლუზივი ლატარიების ორგანიზების თვალსაზრისით, „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ სახით. კეზერაშვილის სახელს უკავშირდება სარკინიგზო გადაზიდვების თემა, რომელიც აბსოლუტურად მის კონტროლს ქვეშ იყო. მისი ბიზნესინტერესები უკავშირდება სარეკლამო ბიზნესსაც, კერძოდ კომპანია „აუთდორის“ საქმიანობას. გარდა პირადი ინტერესებისა, კეზერაშვილის სახელს უკავშირდება სხვადასხვა ბიზნესების საქმიანობაზე ნეგატიური გავლენის ფაქტებიც. ერთი სიტყვით, დავით კეზერაშვილი ბოლო წლების განმავლობაში ე.წ. „ბიზნესის მამად“ გვევლინებოდა“,** – ამბობს ნოდარ ჭიჭინაძე.

**ასე რომ, შესაძლოა, ბრალდება, რომელიც კეზერაშვილს წარედგინა, მის საქმეში ერთადერთი არ იყოს და, შეიძლება, უახლოეს მომავალში მასზეც, როგორც წინა ხელისუფლების სხვა მაღალჩინოსნებზე წითელი ცირკულარით ძებნა გამოცხადდეს. ამჟამად, კეზერაშვილი საქართველოში არ იმყოფება, მაგრამ თუკი მიშას უახლოეს დამფინანსებელზე ინტერპოლით ძებნა გამოცხადდა, მისი ნებისმიერ ქვეყანაში დაკავება და საქართველოში ექსტრადირება არის შესაძლებელი.**

**რუსუდან უშიკიშვილი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ აქტუალური საკითხი

# პრობლემა, რომელიც სასწრაფოდაა მოსაგვარებელი!

**სახელმწიფოსა და ხალხის საკუთრებით ვილაცებმა კი არა, სწორედ სახელმწიფომ და ხალხმა უნდა ისარგებლონ!**

**მინდა გამოვეხმაურო და ყურადღება გავამახვილო საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის ერთ-ერთი ინტერვიუს იმ მონაკვეთზე, სადაც ბატონი ბიძინა სამართლიანად ამახვილებს ყურადღებას საკითხზე, რომლის მოგვარებასაც ქვეყნის ბიუჯეტისთვის საგრძნობი მოგების მოტანა შეუძლია.**

**„ტრანზიტული ტვირთები, — აღნიშნა ბატონმა ბიძინამ, — ეს სახელმწიფოს და ქვეყნის საკუთრებაა, რომელიც ყველას ეკუთვნის. ამიტომ ქვეყნის ნებისმიერმა მოქალაქემ უნდა მიიღოს მისგან შედეგი და არა ბიზნესმენების ერთმა ჯგუფმა, რომელიც რამდენიმე ადამიანისაგან შედგება. ის, რაც სახელმწიფოსა და ხალხს ეკუთვნის, არავის არა აქვს უფლება, მიისაკუთროს, შექმნან იმიტაცია, თითქოს ბიზნესს აკეთებენ“.**

სრული ჭეშმარიტებაა! სახელმწიფომ ტრანზიტული ტვირთების გადაზიდვებიდან, რაც მთლიანად გადაზიდვების უმეტესი ნაწილია, მაქსიმალური შემოსავლები უნდა მიიღოს. საქართველოს რკინიგზა უნდა იყოს გენერალური კონტრაქტორი, რომელიც უნდა უკარნახებდეს თავის პირობებს და ამუშავებდეს ბიზნესკომპანიებს, თუ ისინი საჭირო იქნებიან ქვეკონტრაქტორების სახით. ასეთი მექანიზმის ამოქმედება საშუალებას მისცემს სახელმწიფოს, სრულად მიიღოს შემოსავალი, ბიზნესკომპანიებს კი ქვედა დონეზე კონკურენტულ პირობებში მოუწევთ მუშაობა და, შესაბამისად, გამოირიცხება უხილავი კორუფციული გარიგებებიც.



ანალოგიური მდგომარეობა, ოდნავ განსხვავებული სპეციფიკით, მაგრამ იგივე მოქმედების მექანიზმით გვაქვს საზღვაო ნავსადგურებშიც, რომელთა სამოქმედო ტერიტორიაზე განთავსებული არიან ტვირთების მიმღები და გამგზავნი საექსპედიტორო ბიზნესკომპანიები. ნავსადგურის ნავმისადგომებზე ძირითადად სწორედ ისინი დომინირებენ და ასრულებენ ყველა ოპერაციას. გამოდის, რომ ნავსადგურს ყველა ძირითადი ფუნქცია საექსპედიტორო ბიზნესკომპანიებისთვის აქვს გადაბარებული, და თავის ინდუსტრიაში სტუმრის მოვალეობასღა ასრულებს. შესაბამისად, სახელმწიფოს აკლდება სოლიდური შემოსავლები, რომლებიც საექსპედიტორო კომპანიებში ილექება.

ამ შემთხვევაშიც სწორი იქნება, რომ ნავსადგურები დაუბრუნდნენ თავიანთ ჩვეულ ფუნქციებს, რომელთა განსახორციელებლად მათ სრულად აქვთ ინფრასტრუქტურაც, კომუნიკაციებიც, ამწე-მექანიზმებიც, ჰყავთ დოკერ-მექანიზატორთა ბრიგადები, კვალიფიციური სპეციალისტები. და ყველაფერ ამას იყენებენ... საექსპედიტორო კომპანიები.

რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს დოკუმენტურად არის გაფორმებული.

ცხადია, შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ ეს მანკიერი პრაქტიკა ერთი ხელის მოსმით აღმოიფხვრება, მაგრამ მთავარია პოლიტიკური ნება და მისი შესატყვისი საკანონმდებლო ბაზა.

სწორედ ამ საკითხების აქტუალობაზე საუბრობდა და მსჯელობდა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი. დარწმუნებული ვარ, ამ მეტად საჭირო საკითხების გადაწყვეტით ქვეყნის ბიუჯეტი სოლიდურად შეივსება.

**პეტრე ბერაია,**
**ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი**

◉ ინფორმაცია




## როგორ აღმოჩნდა პატარკაციშვილის აქტივები ჩხარტიშვილის ხელში

**ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი ბიზნესმენ ვანო ჩხარტიშვილის ბრალდებებთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. „ინტერპრესნიუსი“ პატარკაციშვილის ოჯახის განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:**

**„სამწუხაროდ, უკვე არაერთგზის გვიწევს სიყალბითა და მოტყუებით შეთხზული პოზიციის გაქარწყლება. ხუთი წლის განმავლობაში ჩვენი მრავალი მცდელობის სანაცვლოდ, რომელიც მიმართული იყო საკითხის მორიგებით დასრულებისკენ, მხოლოდ ცრუ დაპირებებს ვიღებდით.**

**სიცრუეა ის, რომ დავა ინიცირებული იყო რომელიმე რეჟიმის მიერ, ასევე რომ თითქოს ვიღაც აფერხებდა მოლაპარაკების პროცესს. ჩვენ ხელთ გვაქვს სიმართლის დამადასტურებელი კონკრეტული მტკიცებულებები. ბიზნეს ფედერაციის შენობა, ფოთის წისქვილკომბინატი, თამბაქოს ფაბრიკა, უნივერმაღი თბილისი — მცირე ჩამონათვალია რიგი აქტივებისა, რომელიც ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების შემდეგ იდუმალებით მოცულ ვითარებაში აღმოჩნდა ბატონ ვანო ჩხარტიშვილის ხელში. დარწმუნებული ვართ, მივაღწევთ სამართლიანობას. ამასთან ჩვენ, მის წინააღმდეგ დასავლეთში სასამართლო პროცესებს ვაგრძელებთ.**

**წინა ხელისუფლების პირობებში პრაქტიკულად შეუძლებელი იყო კანონიერი გზით ინტერესების დაცვა. გვჯერა, რომ ქვეყანაში ახალი პოლიტიკური რეალობა წარმოადგენს აღნიშნული საკითხის ობიექტურად და მიუკერძოებლად გადაწყვეტის გარანტიას“, — ნათქვამია პატარკაციშვილების ოჯახის განცხადებაში.**

◉ პოლიგონზე სერიოზული პრობლემებია

# გაიტანეთ ეს ნაგავი!

## გიგი უგულავას პროვინციული მოჩვენებანი

**თბილისის მერია და „თბილსერვისჯგუფის“ თანამშრომლები რამდენიმე დღეა, ვერ ახერხებენ საყოფაცხოვრებო ნარჩენების მოქმედ პოლიგონზე გატანას. ნაგავსაყრელთან მისასვლელი გზა ბლოკირებული აქვს დიდი ლილოსა და სოფელ ნორიოს მოსახლეობას, პოლიგონის გაუქმების მოთხოვნით. თბილისის მერიამ შინაგან საქმეთა სამინისტროს გზის გახსნა მოსთხოვა, მაგრამ პასუხად მთავრობამ პოლიგონზე გარემოს დაცვის სამინისტროს თანამშრომლები მიავლინა არსებული ეკოლოგიური მდგომარეობის შესასწავლად.**

სოფელ ნორიოს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის წინ 3 დღეა აქცია მიმდინარეობს. მისი მონაწილეები მოითხოვენ ნაგავსაყრელის გაუქმებასა და სხვა ტერიტორიაზე გადატანას, რადგან ყოველდღიურად დგას საშინელი, აუტანელი სუნი, რომელიც ჯანმრთელობისთვის საზიანოა.

რამდენიმე დღის წინ აქციაზე ვიცე-მერი ტარიელ ხიზანეიშვილი მივიდა და აქციის მონაწილეებს შეხვდა. შემდეგ კი ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე შევიდა, რათა თავად ენახა იქ არსებული სიტუაცია. თბილისის დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებმა გაწმენდითი სამუშაოები წამოიწყეს, კერძოდ კი ნაგავს ზემოდან მიწას აყრიან.

აქციის მონაწილეები გამოეხმაურნენ თბილისის მერის გიგი უგულავას განცხადებასაც და ხაზი გაუსვეს, რომ ისინი პოლიტიკურად მართულები არ არიან.

თბილისის მერს გიგი უგულავას კი კონკრეტულად აინტერესებს, პოლიცია კახეთში აქციის მონაწილეებს თუ შლის, ნარჩენების მიმღები პოლიგონის პარალიზების გამო, რატომ არაფერს აკეთებს.

**„უკვე მერამდენე დღეა, თბილისის ერთადერთი ნარჩენების მიმღები პოლიგონი, რომელიც 2010 წელს გაიხსნა და სრულად აკმაყოფილებს ყველა საერთაშორისო სტანდარტს, პარალიზებულია. შესასვლელში დადგმულია რამდენიმე კარავი. ესეც ორკესტრირდება საკრებულოს „ოცნების“ წევრი ქალბატონის მიერ და პრაქტიკულად, მილიონნახევრიანი ქალაქი მძევლად არის აყვანილი ამ კონკრეტულ შემთხვევაში. ჩვენ რის ვაივაგლახით ვაგრძელებთ ამ სისტემის უზრუნველყოფას, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, სატრანსპორტო კოლაფსის პარალელურად, შეიძლება მივიღოთ სანიტარიული პრობლემები და ის საგიჟეთი, რაც მთელი ქვეყნის მასშტაბით, რეგიონებში ხდება, გადმოედოს თბილისს.**



**მე მინდა, მივმართო შსს-ს — კახელები, რომლებიც გამოვიდნენ ამ მთავრობის წინააღმდეგ და ითხოვენ სამართლიან კომპენსაციას, პოლიციამ ძალით დაშალა. მაშასადამე, თუ ეს ხალხი გამოდის ივანიშვილის წინააღმდეგ, ე.ი. პოლიცია თავის კანონიერ უფლებამოსილებას ახორციელებს და გზას ხსნის და ქალაქი, რომ შეიძლება, სანიტარიული კოლაფსის წინაშე აღმოჩნდეს, პოლიცია თითს თითზე არ ანძრევს და არაფერს აკეთებს.**

**მივმართავ პრემიერ-მინისტრს, მთავრობას, მათ შეიძლება, აქვთ პოლიტიკური გეგმები, რათა მებრძოლონ მე, მაგრამ თავი დაანებონ თბილისელებს და იმ სერვისებით მანიპულირებას, რომელიც აუცილებელია, რომ ქალაქმა ნორმალურად იარსებოს“,** — განაცხადა უგულავამ და ზემოაღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად ცენტრალურ მთავრობასთან კონსტრუქციული თანამშრომლობის მზადყოფნა გამოთქვა.

თბილისის მერიამ კი ოფიციალური წერილით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რათა აღნიშნულმა უწყებამ საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონთან მისასვლელ გზაზე მოძრაობა აღადგინოს:

**„როგორც ცნობილია, საზოგადოების გარკვეული ნაწილის მიერ საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონთან მისასვლელი გზა უკვე სამი დღეა, გადაკეტილია. აღნიშნული პოლიგონი ერთადერთია ქალაქში, სადაც თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად ხდება ნარჩენების განთავსება. გზის გადაკეტვით, სპეციალური ტექნიკის პოლიგონის მიმართულებით მოძრაობის შეზღუდვა შეუძლებელს ხდის ქალაქის დასუფთავებასა და სხვადასხვა უბნებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას. ყოველივე ეს აზარალებს თბილისის მოსახლეობას და ქალაქში სანიტარიულ მდგომარეობას ამძიმებს“,** — ნათქვამია თბილისის მერიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

დიდი ლილოსა და ნორიოს მოსახლეობის მსგავსად, გარემოსდამცველებიც აღნიშნავენ, რომ პოლიგონი საფრთხეს უქმნის როგორც სოფლების მოსახლეობას, ასევე მახლობლად მდებარე აეროპორტიდან აფრენილი თვითმფრინავების მგზავრებს. საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ხელმძღვანელის ნინო ჩხობაძის თქმით, დარღვეულია რამდენიმე ძირითადი პირობა, რომლის შესრულებაც თავის დროზე ეკოლოგიურმა ექსპერტიზამ მშენებლობის ნებართვის გასაცემად მოითხოვა.

**„სამი ძირითადი პრობლემა გამოიკვეთა: სუნი, რომელიც არ უნდა იყოს თუ ოპერირება სწორად წარმოებს. სუნი ნიშნავს იმას, რომ ჰაერი იწამლება. მეორე პრობლემაა ფრინველები, რომელთა რაოდენობა აუარებელია ნაგავსაყრელზე. ფრინველი საერთოდ არ უნდა იყოს, რადგანაც სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ნორმებიდან გამომდინარე, ნაგავსაყრელი მდებარეობს ძალიან ახლოს: დაშორება უნდა იყოს 12 კილომეტრი და აქ არის 7 კილომეტრი. შესაბამისად, ეს ნიშნავს, რომ ფრენებისთვის არის საფრთხე. იქ უნდა ყოფილიყო სპეციალური ფრინველთა დამაფრთხობელი მოწყობილობები, რაც არ არის გაკეთებული.**

**მესამე პრობლემაა წყლის გაწმენდა, რაც არ წარმოებს, რადგანაც აქვთ ერთი სალექი, ნაცვლად იმისა, რომ ჰქონდეთ გამწმენდი“,** — განუცხადა ნინო ჩხობაძემ რადიო „თავისუფლებას“.

დიდი ლილოს პოლიგონზე გარკვეული სახის პრობლემების არსებობას არც თბილისის მერიაში უარყოფენ, თუმცა, დასუფთავების სამსახურის უფროსი თორნიკე შიოლაშვილი მოქმედების დასაწყებად გარემოს დაცვის სამინისტროს ექსპერტიზის დასკვნას ელოდება:

**„გარემოს დაცვის სამინისტრო ჩაერთო ამ საკითხში და მათი ექსპერტები გამოიკვლევენ, თუ არის რამე დარღვევა და ამის შემდეგ ვიმსჯელებთ დეტალურად — რისი გაკეთება შეიძლება. რა თქმა უნდა, ამ ნაგავსაყრელს ალტერნატივა არ აქვს. ის არის ერთადერთი თბილისში“.**

**გიორგი ბექაური**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# განვიხილავთ... ოლონდ 20 წლის შემდეგ



***ჩვენი** გაზეთის გასული წლის 28 ნოემბერს დაიბეჭდა მიმართვა ქალაქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარისადმი (ასლი გადაეგზავნა საქართველოს პარლამენტს და საქართველოს მთავრობას), რომელიც ითვალისწინებდა ხუთი წლის წინათ ვარდების მოედნის რეკონსტრუქციის მოტივით თბილისის ცენტრიდან დიღომში გადატანილი გამოჩენილი მოქანდაკის მერაბ ბერძენიშვილის მიერ შექმნილი მეფე დავით აღმაშენებლის ძეგლის დაბრუნებას პირვანდელ ადგილზე და თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის ქალბატონ ირინა ენუქიძის სახელის მინიჭებას. მოთხოვნას ხელს აწერდნენ ქართული საზოგადოების ღირსეული წარმომადგენლები: ბატონები ჭაბუა ამირეჯიბი (ბერი დავითი), ჯანსუღ ჩარკვიანი და ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილი.*

*გასული წლის 5 დეკემბერს განმცხადებლებმა მიიღეს ქალაქ თბილისის საკრებულოს პასუხი, რომელსაც ხელს აწერს საკრებულოს სახელებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ლ. იმედაშვილი. საზოგადოებისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება თუ სრულად მოვიყვანთ პასუხის ამ ტექსტს.*



*ქ. თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის საკითხთა კომისიამ განიხილა თქვენი 2012 წლის 27 ნოემბრის წერილი (საკ. სარეგ. №07/6005) რაზეც განგიმარტავთ.*

*ქ. თბილისის საკრებულოს 2011 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება №6-27 „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-7 მუხლის I ქ/პუნქტის თანახმად, გამოჩენილ პირებთან დაკავშირებული სახელდება დასაშვებია ამ პირის გარდაცვალებიდან არანაკლებ 20 წლის გასვლის შემდეგ. ამ წესიდან გამონაკლისი დაიშვება საქართველოს პრეზიდენტის ან/და ქალაქ თბილისის მერის ინიციატივის შემთხვევაში. ამავე წესის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტში გაწერილია ინიციატივის ფორმები კერძოდ: ინიციატივა გეოგრაფიული ობიექტის სახელდების შესახებ წარედგინება ქ. თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას, ამავე მუხლში საუბარია გეოგრაფიული ობიექტის სახელდების შესახებ საკრებულოში წარდგენილი ინიციატივის თანდართულ დოკუმენტაციაზე.*

*განცხადებაში მითითებული წინადადების შესახებ დავით აღმაშენებლის ძეგლთან დაკავშირებით, უნდა მიმართოთ ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურს, ვინაიდან აღნიშნული საკითხის განხილვა და გადაწყვეტა სცილდება ქ. თბილისის საკრებულოს კომპეტენციას.*

*პატივისცემით,*

*ქ. თბილისის საკრებულოს*
*სახელდებისა და სიმბოლიკების*
*კომისიის თავმჯდომარე*
***ლ. იმედაშვილი***

საკრებულოს პასუხის შემდეგ ზემოთ ხსენებულმა პიროვნებებმა ამჯერად განმეორებით გადაწყვიტეს ღია წერილის სახით მიმართონ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს, თბილისის საკრებულოს წევრებს, ასლი გადაეგზავნებათ საქართველოს მთავრობის ლიდერს, საქართველოს საზოგადოებას.

გთავაზობთ ღია წერილის სრულ ვარიანტს.

## ღია წერილი

**თბილისის საკრებულოს**
**თავმჯდომარეს**
**თბილისის საკრებულოს წევრებს**
**ასლი: საქართველოს პარლამენტს**
**საქართველოს მთავრობის ლიდერს**
**საქართველოს საზოგადოებას**

**ბატონო ზაალ, ბატონო საკრებულოს წევრებო,**

**2012 წლის 5 დეკემბერს თბილისის საკრებულოს სახელებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ №07/6005 წერილით უარით უპასუხა საზოგადოება „თბილისელებს“. ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილის, ბატონების ჭაბუა ამირეჯიბის და ჯანსუღ ჩარკვიანის მიერ ხელმოწერილ წერილში გამოთქმული იყო ინიციატივა თბილისის ერთ-ერთი ქუჩისათვის ქალბატონ ირინა ენუქიძის სახელის მინიჭების შესახებ. საკრებულოს უარი დასაბუთებულია იმით, რომ მისი 2011 წლის 27 მაისის № 6-27 გადაწყვეტილების მე-7 მუხლის 1 ქვეპუნქტის თანახმად: „გამოჩენილ პირთან დაკავშირებული სახელდება დასაშვებია ამ პირის გარდაცვალებიდან არანაკლებ 20 წლის გასვლის შემდეგ.“ ამასთან, თუ აღნიშნული გადაწყვეტილების მე-3 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს გავითვალისწინებთ, აღმოჩნდება, რომ ირინა ენუქიძე არ არის „გამოჩენილი პირი“. მაგრამ, ყველა პატიოსანი მოქალაქისათვის ეს ქალბატონი „გამოჩენილი დედაა“, რომელიც არ შეეპუა დაკანონებულ უსამართლობას, მასზე განხორციელებულ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას, მუქარას და შანტაჟს. მან თავისი სიცოცხლის ფასად გაილაშქრა იმ მაღალჩინოსნების მფარველი მანკიერი რეჟიმის წინააღმდეგ, რომლის მსხვერპლი აღმოჩნდა მისი შვილი.**

**ამავე დროს, თბილისის საკრებულოს 2011 წლის 27 მაისის № 6-27 გადაწყვეტილებაში, გარდა პასუხში მითითებული მე-7 მუხლის 1 ქვეპუნქტისა, არის აგრეთვე მე-4 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების ძირითად პრინციპებს. კერძოდ, აქ მითითებულია ქვეპუნქტი: “საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინება“ (ქ/პ „ი“). აშკარაა,რომ სწორედ ამ ქვეპუნქტს ესადაგება ღვაწლმოსილი თბილისელების ხელმოწერებით დადასტურებული ინიციატივა. განსაკუთრებული მორალური ღირსებებით შემკული შეუპოვარი ქართველი დედის სახელის თბილისის ერთ-ერთი ქუჩისათვის მიკუთვნება უნდა გახდეს სტიმული ყველა მოქალაქისათვის. საჭირო შემთხვევაში, თითოეული ჩვენგანი, ხელისუფალთა პოლიტიკური ნების მიუხედავად, არ უნდა შეშინდეს და ხმა აიმაღლოს უკანონობის წინააღმდეგ.**

**ამავე წერილით თბილისის საკრებულოს სახელებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე „თავაზობს“ საზოგადოება „თბილისელებს“ მეფე დავით აღმაშენებლის ძეგლის დიღმის გზაჯვარედინიდან ვარდების მოედანზე დაბრუნების თაობაზე მიმართონ თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურს?! ჩვენი შეფასებით, ასეთი პასუხი, რბილად რომ ვთქვათ, არასერიოზულია.**

**ბატონო ზაალ და საკრებულოს პატივცემულო წევრებო! უმორჩილესად გთხოვთ შესაფერისი გულისყურით განიხილოთ საზოგადოება „თბილისელების“ საინიციატივო წერილი.**



საკონტაქტო შემსრულებელი

**სტეფანე მეფისწვერიძე, ლეილა ნარიმანიძე.**
**ტელეფონი 877748497:**

**იქნებ** ბატონმა ზაალმა გამოიჩინოს გამბედაობა და ნაპრეზიდენტალისა და ქალაქის მერის ხუშტურების (ყველასათვის ცნობილია, რომ დიდი მეფის ძეგლის გადატანას მერიის კეთილმოწყობის სამსახური, ვისაც ევალება თურმე ძეგლის პირვანდელ ადგილზე დაბრუნება, პრეზიდენტის, ქალაქის მერისა და ყოფილი ნაცმოძრაობის მაღალჩინოსნების სურვილის გარეშე ვერ გაბედავდა) გაუთვალისწინებლად დააკმაყოფილოს ქართველი საზოგადოების მოთხოვნა. მით უმეტეს ამგვარი პრეცედენტები (მხედველობაში გვაქვს ქუჩების სახელების შეცვლა) მრავლად გვქონდა. ხალხის მოთხოვნით და მაშინდელი ხელისუფლების გადაწყვეტილებით 1989 წელს დატრიალებული ტრაგედიიდან სულ რამდენიმე დღეში თბილისისა და საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში გაჩნდა 9 აპრილს დაღუპულთა სახელობის ქუჩები. ამით ხალხმა პატივი მიაგო უმოწყალოდ დახოცილ ქართველებს და საჭიროდ არ ჩაუთვლიათ გასულიყო 20 წელი. უკვე ნაპრეზიდენტალმა მიხეილ სააკაშვილმა ყველასაგან დაუკითხავად და ხალხის ინტერესების გაუთვალისწინებლად, ერთი ხელის მოსმით დააკანონა, რომ თბილისში ყოფილიყო ჰეიდარ ალიევის, ლეხ კაჩინსკის, პოლიტკოვსკაიას, ჯორჯ ბუშის (უმროსის) სახელობის ქუჩები. საინტერესოა რომელი კანონებითა და ქვეპუნქტებით მოქმედებდა მაშინ?

**მამუკა ვაშაკიძე**

## რა ენა წახდეს...

# ისევ იმ საკითხზე განუხებთ...

**იმიტომ „ისევ“, რომ ეს ამბავი არაერთგზის გახმოვანებულა (მოდური, თუმცა უსწორო თქმით, „გაჟღერებულა“) ჩვენი გაზეთის ფურცლებზე: უცხო სიტყვათა უმართებულო, დაუფიქრებელი, მცდარი ხმარებისა თუ მოხმობისა. თქვე დალოცვილებო, მინისტრები რომ გქვიათ, პარლამენტარები, პოლიტოლოგები, მიმომხილველები, ექსპერტები და სპეციალისტები, შეიფერეთ თქვენი წოდება თუ „ავტოწოდება“, მდგომარეობა, სტატუსი შეიფერეთ, პასუხისგებით მოეკიდეთ საჯარო გამოსვლებს ტელეეკრანზე თუ პრესაში, ნუ წარმოდგებით, ნუ გამოჩნდებით უწიგნურებად და მოივარგეთ წიგნიერება — თქვენ ხომ მრავალი მაყურებელი, მსმენელი და მკითხველი გყავთ...**

შე დალოცვილო, ეკონომისტი რომ ხარ, კიდევ მეტი, ეკონომიკის ექსპერტი რომ ხარ და მეტზე-მეტი, ეკონომიკის მინისტრი რომ ხარ (უშენოდ მიწებებული „მდგრადი განვითარება“ ჩავტოვოთ) — კეთილი ინებე და „ეკონომია“ გაარჩიე (განასხვავე) „ეკონომიკისაგან“; ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე კი ნუ მელაპარაკები, ეკონომიკაზე მესაუბრე; რა უნდა იმის გარკვევას, რომ ეკონომია მომჭირნეობაა, ან მომჭირნეობით ხარჯვის შედეგად მიღებული სარგებლობაა, ხოლო ეკონომიკა რისამე (ან ვისამე) სამეურნეო ცხოვრებაა, მეურნეობის მდგომარეობაა, და რომ შესაბამისად ჩნდება ზედსართავები — ეკონომიური და ეკონომიკური...

პატრონაჟი და პატრონატი აგრეთვე ერთი ასოთია განსხვავებული, მაგრამ სულ სხვადასხვა შინაარსის მატარებელია: პატრონაჟი თუ საშინაო პირობებში ოჯახის წევრთა ორგანიზებულ სამედიცინო მომსახურებას ნიშნავს (ჩვენს რეალობაში ასე სანატრელსა და არაორგანიზებულს, რაც მართლაც სამწუხაროა), პატრონატი ნიშნავს მფარველობას, მზრუნველობა; ასე რომ, ესა თუ ის ღონისძიება პირველი ლედის (გინდა მერიის) პატრონაჟით კი არა, პატრონატით ტარდება და ხშირად (და მუდამ შეცდომით!) ხმარებული „პატრონაჟი“ უნდა შეიცვალოს „პატრონატით“, პატრონაჟი ძალიან იშვიათადაა „გამოყენებადი“...

ასევე იშვიათად ხდება საჭირო ტელეეკრანიდან წარმოსათქმელად ან გაზეთში დასაწერად სიტყვა „მასიური“, არადა ერთობ გავრცელებულია იმ მიზეზით, რომ უსწოროდ იხმარება „მასობრივის“ ადგილას; რა უნდა ვიწამო იმ პოლიტიკოსისა თუ პოლიტოლოგისა, რომელიც მანათლებს, რომ ასეთ მოვლენებს მსოფლიოში მასიური ხასიათი აქვს; ან ისეთი ლიდერისა, რომელიც მემუქრება, რომ მოსახლეობას ქუჩაში მასიურად გამოიყვანს; რა გახდა იმის ცოდნა, რომ მასიური დიდი მასის მქონეა, დიდი მოცულობის მქონეა, უბრალოდ, დიდი და მძიმეა; მასობრივი კი — ფართო მასების, ბევრი ადამიანის მონაწილეობით შესრულებული ან შესასრულებელი, შექმნილი ან შესაქმნელი; სულ უბრალოდ სათქმელად — მასიური ფიზიკურობის გამომხატველია, მასობრივი — რაოდენობრივისა; ასე რომ, თუ შნო გაქვთ, მიხეილ სააკაშვილის გადასაყენებლად მასიური დემონსტრაციები კი არა, მასობრივი გამართეთ.

ტყუპ სიტყვათა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ კამპანია-კომპანია, ასე ერთმანეთის მსგავსი და მახლობელი და ასე ერთნაირად ხშირად მოსახმობი ჩვენი გაუთავებელი არჩევნებისა და სულ ახალ-ახალი გაერთიანებების შექმნის წყალობით... არ გვაწყენდა იმის მონიშვნა, რომ კამპანია ერთ-ერთი მნიშვნელობით ის მუშაობაა, ის პროცესია, რაც უნდა გატარდეს გარკვეულ პერიოდში რაიმე მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სამეურნეო ამოცანის გადასაჭრელად (საარჩევნო კამპანია, ხვნა-თესვის კამპანია...); სხვა მნიშვნელობით კამპანია სამხედრო ლაშქრობაც შეიძლება იყოს... კომპანია კი სავაჭრო, სამრეწველო გაერთიანება, გნებავთ ამხანაგობა, ან ერთად მყოფი ადამიანების ჯგუფია... ჩემი დაკვირვებით, ამ წყვილსიტყვასთან დაკავშირებით აღრევა უფრო ცალმხრივია: კამპანიის ადგილას კომპანიას არ ამბობენ, სამაგიეროდ სადაც კომპანიაა სათქმელი, იქ ეშლებათ („წუხელ კაი კამპანიაში ვიყავი“, „სადაზღვევო კამპანია გაკოტრდა...).

იხ. 9 გვ.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №201

# ქართული განძის სამწუხარო რეალობა

**ძველი ქართული არისტოკრატიის ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენელი ბაბო დადიანი თავისივე ცხოვრების წესით განმარტავდა, რომ ამქვეყნიური არსებობისთვის მინიჭებულ დროს დამაჯერებლობას წარსულისადმი დამოკიდებულება ანიჭებს. ქალბატონი ბაბო ქცევის და მორალის ზოგად ნორმებზე არ საუბრობდა, არამედ საკუთარი თუ სხვათა ცხოვრების მაგალითებით და, ექსტრემალურ პირობებში, გადასახლებებში დიდი რისკის ფასად წაღებული, რისკის ფასად გადარჩენილი ღირსეულ ქართველთა პორტრეტებით ბევრ რამეს გვიხსნიდა, გვახსენებდა და ჩვენს შემეცნებას ზუსტი მიმართულებით წარმართავდა.**

ბაბო დადიანის უკვე ლეგენდარული არქივი (როცა თავად ამ კოლექციასაც განუმეორებელი ბიოგრაფია გააჩნია) საქართველოს ისტორიისთვის მრავალმხრივ არის მნიშვნელოვანი.გარდა უნიკალური ფოტომასალისა, არქივს ახლავს ეპისტოლარული და მემუარული სახის ხელნაწერები. ამ ექსპონატებზე დაყრდნობით, დოკუმენტურად წარმოჩინდება ქართულ-აფხაზური ურთიერთობები, არისტოკრატიის ცხოვრება და ბედი, გასული საუკუნის ქართული ემიგრაციის ყოფა,მათი მიზნები და ხვედრი...

ამ არქივის, როგორც უნიკალური განძის შესახებ თავისი პოზიცია სხვადასხვა დროს გამოხატეს ქართული კულტურის მოღვაწეებმა: **ელენე ახვლედიანმა, აკაკი შანიძემ, ლადო გუდიაშვილმა, ალექსანდრე ბარამიძემ, კონა გიგინეიშვილმა, სარგის ცაიშვილმა, შოთა ძიძიგურმა, გაიოზ იმედაშვილმა, ზურაბ ლეჟავამ, რევაზ ჯაფარიძემ, მარიკა ლორთქიფანიძემ, კორნელი სანაძემ, რეზო ინანიშვილმა და სხვებმა და სხვებმა...** ისინი აღტაცებულნი გახლდნენ ამ არქივის უნიკალურობით, მრავალფეროვნებით და აუცილებლობად თვლიდნენ მის მეცნიერულ დამუშავებას, ალბომად გამოცემას და მუდმივ ექსპონირებას...

მაგალითისთვის, ავტოგრაფის სახით გთავაზობთ ლადო გუდიაშვილის ჩანაწერს შთაბეჭდილებათა წიგნიდან:



გასულ წელს **საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზიის შენობაში,** სადაც საპატრიარქოს არაჩვეულებრივი ბიბლიოთეკაც განთავსდა და ეს სივრცე თანდათან ერთგვარი კულტურის ცენტრის მნიშვნელობას იძენს, ცალკე ოთახი გამოეყო ბაბო დადიანის არქივს, რის დამუშავებაშიც გვეხმარებიან: ქალბატონ ბაბოს ქალიშვილი – **თათული ღვინიაშვილი,** შვილიშვილი – **მია ღვინიაშვილი** და შვილთაშვილი **ანა ბერიძე.** საერთო გეგმებში, არქივის კატალოგიზაციასთან ერთად, ბეჭვდური და ელექტრონული ალბომის გამოცემაც იგულისხმება.ასევე მზადდება დიდი ექსპოზიცია და სიუჟეტური სერიები პროგრამისთვის, „დროის ჩანაწერები“.

ნიშანდობლივია,რომ ყველა,ვინც ქალბატონ ბაბო დადიანის პიროვნებას თუ არქივს შეხებია,ვისაც მისი საოცარი პორტრეტული გალერია,ძველ ფოტოებზე აღბეჭდილი სახეები ახლო ხედში უნახავს, აუცილებლად



ბაბო დადიანის უკანასკნელი ფოტო



ბაბო დადიანი სამების ეკლესიაში

მოიგონებს სიტყვას **„ღირსება“,** ანუ ღირსების საქმე ბაბო დადიანის არქივთან ურთიერთობისას უპირობოდ განმსაზღვრელია.

ღირსების თემას ჩვენ აქ შემთხვევით არ შევეხეთ და აი, რატომ:არქივის დაბინავებამდე ქალბატონ ბაბოს შთამომავლების ოჯახში ხშირად სტუმრობდა, როგორც თავად გამოხატავდა ქართულ კულტურაზე შეყვარებული რუსი ჟურნალისტი ვინმე **იგორ ობოლენსკი.** მისი ნამდვილი გვარია **იზგარშევი.** იგი ქალბატონ თათულის მიმართავდა, რომ ეთხოვებინა ხან სამი, ხან ოთხი, ხან ხუთი ფოტო... უკან პუნქტუალურად აბრუნებდა და სხვადასხვა ფორმით აღტაცებას გამოხატავდა ამ ოჯახის წინაპართა თუ ახლობელთა მიმართ... გავიდა მცირე ხანი და ამ რუსმა ჟურნალისტმა მოულოდნელად, არქივის მფლობელთან შეუთანხმებლად, დაიწყო ბაბო დადიანის კოლექციის სხვადასხვა ფორმით ტირაჟირება, არაკვალიფიციური კომენტარებით და შეცდომებით. ოჯახისთვის ასევე სრულიად მოულოდნელი იყო, როცა უცნობმა ადამიანმა ქალბატონ თათული ღვინიაშვილს აჩუქა საფოსტო ბარათების ორი ალბომი, საერთო სათაურით – „Портреты старого Тифлиса“. ეს ორასამდე ფოტო, რამდენიმეს გამოკლებით, ბაბო დადიანის არქივის ექსპონატებია, მაგრამ რატომღაც ზემოდან, ყდაზე, პირველივე სიტყვები ,,იგორ ობოლენსკი“ აწერია, ალბომის უკანა მხარეს იგივე ე. წ. ობოლენსკის ბიოგრაფიაა და მისივე ფოტოპორტრეტი.... და ეს კიდევ არ გახლავთ ყველაფერი: შიგა ყდაზე, მითითების სახით,გარკვევით წერია, რომ ამ ალბომის მასალები ობოლენსკის ერთ-ერთი საავტორო გამოცემის არქივს წარმოადგენს, რომ ყველა უფლება დაცულია... ჩვენი საბოლოო გაოცება (ეს რბილად რომ ვთქვათ), გამოიწვია მინაწერმა, რომ ამ მასალების თუნდაც ნაწილობრივად გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მისი მფლობელის, ანუ იგორ ობოლენსკის წერილობითი ნებართვით.

გადის დღეები და ამ გამოცემების ტირაჟები იყიდება საქართველოშიც, რუსეთშიც ...ანუ „ჩვენმა უანგარო რუსმა მეგობარმა“ თავისი პიარი და ბიზნესი ამგვარად გააკეთა, მაგრამ სამწუხაროა, რომ არა მარტო სხვისი საავტორო და საკუთრების უფლებათა დარღვევით, არამედ არაკვალიფიცურობით, რაც იმგვარი მნიშვნელობის რელიკვიებს, როგორიც ბაბო დადიანის არქივშია წარმოდგენილი, ნამდვილად არ ეკადრება და სამომავლო სიფხიზლისთვის განგვაწყობს.

ანალოგიური ტკბილსიტყვაობით, ქართულ-რუსული მეგობრული ურთიერთობების საბაბით, რასაც ეს მოსკოველი ჟურნალისტი არ იშურებდა, სავარაუდოა, რომ საქართველოდან კიდევ ბევრ განძს გაიტანენ.

**საქართველოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ რამდენჯერმე აღნიშნა ბაბო დადიანის არქივის მნიშვნელობა საქართველოს ისტორიის მატიანისთვის. ყოფილ კულტურის მინისტრსაც მიმართა: მიხედეთო ამ მემკვიდრეობას... სხვათა შორის, წმინდა გიორგის პირველი ხარისხის ორდენი საქართველოს პატრიარქმა ყველაზე პირველად ქალბატონ ბაბოს გადასცა „ქართულ მართლმადიდებლურ სამოციქულო ეკლესიაში ხანგრძლივი, ერთგული და სამაგალითო მოღვაწეობისთვის“. ამ არქივში არამარტო ჩვენი უწმინდესის, არამედ სხვა ცნობილ სასულიერო პირთა ფოტოები და ავტოგრაფებია დაცული.**

გვინდა მივმართოთ საქართველოს კულტურის სამინისტროს,უშუალოდ კულტურის მინისტრს ბატონ **გურამ ოდიშარიას,** რომ დაგვეხმარონ აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის **მიხეილ შარვაშიძის** და მისი ვაჟის მწერალ და საზოგადო მოღვაწის **გიორგი შერვაშიძის,** აგრეთვე საფრანგეთის ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ერთ-ერთი ლიდერის **კოკი დადიანის** უშუალო შთამომავლის ქალბატონ ბაბო დადიანის მემკვიდრეობის, მისი უნიკალური არქივის მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემაში, რაც, რა თქმა უნდა, კვალიფიცირებულ კომენტარებს და კვლევასაც გულისხმობს. ბაბო დადიანის გენეტიკურ შტოში გაერთიანებულია შარვაშიძეთა და დადიანთა საოცარი ბიოგრაფიები, მათი ერთად ცხოვრების და ნათესაური კავშირების ნამდვილი მატიანე. ჩვენ ვიცით, რომ ქართულ-აფხაზური ურთიერთობები ისე, როგორც ჩვენი ემიგრაციის წარსული, ბატონი გურამ ოდიშარიასთვის საკრალური თემაა. ვიმედოვნებთ, რომ არა მარტო ბატონი გურამისთვის...

**ამ თემების მწვავე აქტუალობა დღეს, ალბათ, იმაზეც მეტყველებს, რომ ჩვენი წარსულის, ჩვენი განძის მოვლა და სწორი ინტერპრეტაცია უპირველესად ჩვენივე მოვალეობაა, თორემ გამოჩნდებიან სხვა მფლობელები, რისი სამწუხარო ინციდენტებიც არაერთხელ ყოფილა საქართველოს ისტორიაში.**

**ნინო ხოფერია**









რუსი ჟურნალისტის უნებართვო გამოცემები





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

***მწერალი, კულტუროლოგი, მკვლევარი ჯანრი კაშია, ვისი საუბარიც 2004 წელს ჩავიწერეთ, თვლიდა, რომ ლიტერატურა თვისი შექმნილი, წარმოსახული რეალობით და საკუთარი ობიექტურობით, ცხოვრების რეალობას აღემატება. ამიტომაც გვახედებს მაღლა... ეს, რა თქმა უნდა, დროში გამოტარებული აზრის დადასტურებაცაა — „ცხოვრების მშვენიერის“ და „ხელოვნების მშვენიერის“ თუნდაც, ჰეგელისეული გადაწყვეტა, მაგრამ, ალბათ, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია შენი თანამედროვის, ამ შემთხვევაში ბატონი ჯანრი კაშიას სულიერი გამოცდილება და საერთოდ, ამ თვალსაზრისით, თანამედროვეობის ზოგადი ხასიათი.***

***ჯანრი კაშიას, თავისი პიროვნული ხიბლით თუ ბიოგრაფიით შეეძლო სრულიად იოლი და აპრობირებული გზა აერჩია, თუნდაც, სალონის ფილოსოფოსის ესოდენ მიმზიდველი როლი, მაგრამ მან — მწერალმა, ფილოსოფოსმა, ისტორიკოსმა, ფილოლოგმა,სოციოლოგმა ფუნდამენტური შრომები დაგვიტოვა, რომელთა ჩამოთვლაც ან თემატური გააზრებაც კი ასკეტური ცხოვრების დამსახურებულად „მედიდურ“ იერს გულისხმობს,მაგრამ მან საწერი მაგიდის გავლით, საზოგადოების პირისპირ დგომაც გადაწყვიტა. „იმედის“ სატელევიზიო ეთერში უძღვებოდა ორ თოქ-შოუს „არჩევანი“ და „სხვა განზომილება“. ჩვენს ტელესივრცეში ამგვარი ინტელექტუალური ჟურნალისტიკა სრულიად უცხო გახლდათ და თუ რატომ იყო მნიშვნელოვანი, ეს შემდგომმა, აზრს და ესთეტიკას მოკლებულმა ტელეპროდუქციამ გვიჩვენა.***

***ამ ტიპის განმანათლებლობა, როგორც ჩანს, დრომ მოითხოვა და დღესაც, ალბათ, იგივე დრო მუშაობს და სერიოზული ტელეჟურნალისტიკის საასპარეზო სივრცე უკეთესის მოლოდინის სურვილს აღძრავს.***

***ბიოგრაფიული ნიშნით, ჩემი თაობისთვის ჯანრი კაშიას ცხოვრების გზა მარადიულად გზაში მყოფი ადამიანის პირდაპირ თუ სიმბოლურ გაგებას უკავშირდება. ყოფნა ერთდროულად „შინ და გარეთ“.***

***რენესანსული საქართველო თუ „მშობლიური მეოცე საუკუნე“ (ეს ჯანრი კაშიას სიტყვებია) მისთვის ერთი განუყოფელი მთლიანობაა და საკუთარი ბიოგრაფიის ნაწილიც. უფრო მეტია, ვიდრე ქრონოლოგიური თარიღები, ვიდრე ემიგრანტული წარსული, ვიდრე დაბრუნება საქართველოში:***

# ჯანრი კაშია მკითხველთან და მკითხველის გარეშე

**„მე შევეცადე ჩემი ცხოვრების ბიოგრაფიულ სინამდვილედ მექცია ღირებულებები, რომლებთან შეხება არაჩვეულებრივი მრავალფეროვნებითა და სიღრმით მიხსნიდა დროთა და პიროვნებათა საგანძურს.“**

და მაინც, კონკრეტული კალენდარული დრო ადამიანთა ცხოვრებაში მთელი თავისი სისასტიკით მონაწილეობს... დრო რევოლუციების, ომების, ათეისტური რეალობის... ადამიანებზე ქარიშხალივით გადავლილი დრო...რასაც საკუთარი შემეცნების გამბედაობით აჩერებდნენ მეოცნებეთა და მოაზროვნეთა ნათელი შუბლები.... რადგან უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ,ვიდრე ისინი, რომლებიც **„ამტკიცებდნენ და იარაღის ძალით გაჯერებდნენ, რომ მარქსამდე, ლენინამდე, სტალინამდე, ჰიტლერამდე, მაომდე... და ა. შ. მასების ქარიზმატულ ლიდერებამდე ყველა ცდებოდა.გაჯერებდნენ დავიწყების შიშით, — და ჯერ ადრეა ამის დავიწყება ჩვენთვის, ვისაც მოუწია ეს გამოცდა, რადგან ცოდვა ჩასაფრებულია კართან...“**

მაგრამ როგორ გადავიაზროთ მოაზროვნეთა მემკვიდრეობა? როგორ შევხვდეთ ზოგჯერ ერთმანეთის გამომრიცხავ ღირებულებებს?

**„მე მიმაჩნია,რომ ისტორიის სიღრმეში ხედვისას, შეუძლებელია თქმა ვინმეზე, რომ ის ცდებოდა თავის მსოფლხატსა და ხედვაში, რომ თვით ეს მსოფლხატი იყო მცდარი, რომ თავს იზრუებდნენ და ცდებოდნენ მოსე, ბუდა, ზარატუსტრა,მოჰამედი,ჰერაკლიტე, დემოკრიტე, მაქსიმე აღმსარებელი და ან ფირდოუსი და რუსთაველი,.. ჩახრუხაძე, ჰაფეზი, რუმი, ომარ ხაიამი, პეტრიწი და მოლა სადრა, და ყველანი ერთად? და ან მათი მსოფლხატი და სინამდვილე იყო მცდარი და არა სწორი... ანუ ცოდნა არ იყო ცოდნა? ამიტომ მე დავტოვე წარსული კრიტიკით წამების და შესწორების გზა და მისი ჭვრეტის სიამოვნებას მივეცი თავი.მივხვდი, რომ ყველა მართალია, მართალია ბიოგრაფიულად,სიკვდილის წინაშე დგომით და იმ კულტურით,რომელიც უხსნის მას ყოფიერების გზას, რის გამოც გვახსოვს ისინი, გვახსოვს არა როგორც წარსული, არამედ,როგორც ჩვენი თანამყოფი მოსაუბრე მეხსიერება...**

***— ბატონო ჯანრი,თქვენი აზროვნების ფორმა არის რთული. ალბათ, ელიტარულ მკითხველს გულისხმობთ?***

— მკითხველის ცნება ნიშნავს უკვე ელიტარულობის ცნებას. კითხვის პროცესი თავისთავად დიდ დაძაბულობას ითხოვს.უნდა ერთდროულად გეჭიროს თავში მაშინვე წაკითხულიც და წინა წაკითხულიც. კითხვა — ეს განსაკუთრებული სამუშაოა. არასოდეს დავფიქრებულვარ იმაზე,რომ არსებობს რაღაც სხვადასხვა კატეგორიის მკითხველი.ეს არ არის ჩემი ამოცანა... როცა წერ, არ გულისხმობ მკითხველს...

***— ნუთუ, მართლა არ გულისხმობთ მკითხველს?...***

— მკითხველი ჩნდება მაშინ, როცა წაიკითხავს და იქიდან მოგდის რაღაც... მკითხველთან ურთიერთობა იწყება მერე...კითხვა ქმნადობის აქტია, შემოქმედებაა. თუ მკითხველი ნამდვილია, ის დეტექტივივით კი არ გადაიკითხავს,არამედ მუშაობს წიგნზე, აზრით და ფიქრით ჩართულია მასში... სადღაც ჩემსა და მას შორის იკვანძება რაღაც, რასაც პირობითად ესთეტიკური აღქმა ჰქვია. მკითხველის წინაშე დგას, დევს სამყარო, რომელშიც ის ნელ-ნელა, თანდათან შედის... მას ყოველ გვერდზე რაღაც ეხსნება, რომ ის სამყარო მთლიანობაში დაინახოს... არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ასახავს თუ არა ლიტერატურული ცხოვრება რეალობას. შეიძლება ლიტერატურა აცდენილი იყოს ჩვეულებრივ რეალობას, მაგრამ შიგა საზღვრებში უნდა ეძებო ამ ტექსტის არსება. იქ, შიდა საზღვრებშია მოქცეული ყველაზე საინტერესო... წინააღმდეგ შემთხვევაში თავად ლიტერატურაა რეალობიდან აცდენილი.



***— ბატონო ჯანრი, როდესაც საფრანგეთში ქართულ-ევროპულ ინსტიტუტს აარსებდით, ნიშნავდა თუ არა, რომ ევროპულ ორიენტაციაზე ფიქრობდით? თუმცა, ფაქტიურად, ეს ინსტიტუტი აზიური, კავკასიური და კონკრეტულად ქართული ცივილიზაციების კვლევას წარმოადგენდა და, შეიძლება ითქვას, რომ რაღაც მესამე, სინთეზური გზით ორიენტირებას არჩევდით.***

— მე ყველაფერს ვიწყებ მეთოდიდან. ძალიან ადრე დაახლოებით 1956 წლიდან, ჩემს ფიქრებს და ვარაუდებს უბის წიგნაკებში ვიწერდი. მიმაჩნია, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ამ ტიპის ჩანაწერები, რომელიც გზადაგზა კეთდება. ყველა გზას გვიჩვენებს, რაც განვვლე, ყოველგვარი მერე მოფიქრებების გარეშე... კარგად ჩანს, რას ვფიქრობდი, როცა პროცესში იყავი ჩაბმული... ამ ჩანაწერებიდან ჩანს, რომ ძალიან ადრე დამიწყია ფიქრი სინთეზის შესახებ, რასაც მე ინტეგრალურობას ვუწოდებ. სინთეზი დღევანდელ დღეს მთავარი ცნებაა. ჩვენ უკვე აღარ შეგვიძლია ვისაუბროთ პროფესიონალურად, თუ ამ სინთეზის უნარი არ შეგვწევს, ანუ თუ არ შეგვიძლია მოვლენას სხვა მხრიდან შემოვუაროთ და მთელ თავის პარამეტრებში გავიაზროთ. ჩვენ მთლიანად ერთიანი ცნობიერების სივრცეში ვართ ჩართული. ადამიანი მარტო რომ იყოს უდაბურ ტყეში, ის ლექსს არ დაწერს. ექნება მარტივი ენა, თუმცა, ეს ენა შესაძლებლობების მიხედვით იქნება სრული.

***— შესაძლებლობებში რას გულისხმობთ?***

— ენა არ არის ის, რაც ითქმის. ენა არის თქმამდე და თქმა კი ყველა სხვადასხვა ენაზე რომ წარმოვიდგინოთ, არის ამ შესაძლებლობების რეალიზება. ენა არის დიდი პოტენცია, რომელიც ყველაფრის შესაძლებლობას გვაძლევს: ენა ყოფიერების საზრისის შემოქმედებითი ენერგიაა.

რაც შეეხება სინთეზის საკითხს, შეიძლება თუ არა საქართველო იყოს სრულიად გამოცალკავებული? და თუ არ შეიძლება, რა წრეში შეიძლება ჩაჯდეს? სამწუხაროდ, და ჩვენდა დიდად სამწუხაროდ, ჩვენ გავიარეთ გზა და მივაღწიეთ რაღაცებს ისე, რომ არაფერი ვიცოდით. ჩვენით, ინტუიციურად გავიარეთ გზა. ჭაობში ვიდექით და რაღაც ძალისხმევით ერთმანეთი ამოვიყვანეთ... ჩვენ, როცა ვამბობ, ვგულისხმობ 60-იანელთა რატომღაც დავიწყებულ თაობას. ჩვენ ისეთი სამუშაო შევასრულეთ, რაც თავის დროზე შეასრულა პლატონმა, იქ, მაშინ, თავის გარემოში... ჩვენ ფილოსოფიაც თავიდან აღმოვაჩინეთ ჩვენთვის, ლიტერატურაშიც იგივე გზა იქნა გავლილი. არ აგვიღია მოდელები და გარედან არ შემოგვიტანია. ჩვენ შიგნიდან წამოვედით... ჩვენში ქართული მასალა, ქართული ღირებულებები იყო უფრო მნიშვნელოვანი.

***— ამ ღირებულებებს დევალვაცია ხომ არ ემუქრება?***

— ღირებულებათა დევალვაცია არ ხდება. ადამიანი ღატაკდება შინაგანად, თორემ თავად ღირებულებას არაფერი აკლდება. ვიღაც სხვა მივა მასთან. აკლდება მხოლოდ ადამიანს, მის დამოკიდებულებას, მის ცხოვრებას... აღზრდა არ ნიშნავს ღირებულებების გადაცემას, არამედ ადამიანის მომზადებაა ღირებულებების ასაღებად, ანუ მისი მიმღებად ჩამოყალიბება. ცოდნა არ არის საგანი, რომელიც შეიძლება გადავიდეს ერთი თავიდან მეორეში. ნებისმიერი სახის ცოდნას ვგულისხმობ. ტრადიციაც კი არ არის მექანიკურად გარდამავალი საგანი. ისიც მოქმედია მარადიულად. ცოდნა, ეს არის საშუალების შეძენა, რომ მიიღო, შედგე იმ გზაზე და იფიქრო... თუ შენ არ ხარ „მიმღების“ მზადყოფნაში, ანუ იმ დაძაბულობაში, რამდენიც არ უნდა მოგცენ, ვერაფერს გამოიყენებ, ვერაფერს დაარქმევ სახელს.

***— როგორ მივიღოთ სხვა სამყაროდან მოსული ღირებულებები. არსებობს ყველასთვის უნივერსალური ღირებულება? თუ მხოლოდ ის უნდა მივიღოთ, რაც შეეფერება ქართულ ნიადაგს. თქვენ ჰაიდეგერის „ყოფიერებისა და დროს“ ქართულ თარგმანზე წერდით და ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარებისთვის „ჰაერივით საჭიროდ“ მიიჩნიეთ, მაგრამ თქვენივე განმარტებით, ეს ნაწარმოები, ამ თარგმანში, გაგების თვალსაზრისით, მხოლოდ ლიტერატურულ ტექსტს წარმოადგენს. სათანადოდ მომზადებულ ქართველ მკითხველს შეუძლია მხოლოდ „ქართული ენის წიაღიდან იმუშაოს, და ახსნას ის პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა სცადა ჰაიდეგერმა გერმანული და ევროპული (ბერძნული, ლათინური) ენების წიაღიდან“.***

***ე. ი. ისეთი უნივერსალური დარგიც კი როგორიც ფილოსოფიაა, მზა პასუხებს ვერ გაძლევს დასმულ კითხვებზე, თუ მასთან მისვლა ჩვენი გზების გავლით არ განხორციელდა.***

— გადმოტანა ნიშნავს შენს ენაში დაბრუნებას. ჩვენ არაჩვეულებრივი მაგალითები გვაქვს მეათე-მეთორმეტე საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში — გაქართულება, ანუ გადაცემა შენს ენაში. ეს არის პირველი გასაცნობიერებელი რამ. საერთოდ არაფერი არ გადმოდის, არც იდეა, არც საგანი თავისთავად. თუ არ გაქვს გააზრებული საკუთრივ შენი რა არის, აი მთელი ჩვენი უბედურებაც ეს არის... სადღაც XX საუკუნის სამოცდაათიან წლებში საქართველოში რაღაც გაწყდა, რასაც მანამდე ჯერ კიდევ ეჭირა თავი 60-იანელთა ძალისხმევით და იმიტომ, რომ არსებობდა თაობათა კვანძი. იმ პერიოდებში, 70-90-იან წლებში, როდესაც საქართველოში ჩამოვდიოდი, ეს გაწყვეტილობა უკვე ძალიან მკვეთრად ჩანდა. დღესაც დგას იგივე პრობლემები — თვითიდენტიფიკაცია. თვითგაუცნობიერებელ ნიადაგზე კი ყველაფერი უარყოფითი ნიშნით მოდის, უარყოფითად მოქმედებს, გაწუხებს და არ იცი, რა მოუხერხო.

60-იანი წლების ლიტერატურა უფრო მძიმეა შინაგანი შიგთავსით. ვგულისხმობ *გურამ რჩეულიშვილს, ვაჟა გიგაშვილს* და საერთოდ ამ თაობის მშვენიერ მწერლებს. ისინი წერდნენ ცენზურის პირობებში და მერე როგორი ცენზურის პირობებში. და მაინც იმ დროს ათვისებული იქნება, ვთქვათ, ჰემინგუეი, მაგრამ ათვისებული იქნა საკუთარი გამოცდილების ფონზე...

ის, რაც **ერლომ ახვლედიანმა** შემოიტანა ქართულ ლიტერატურაში, არის სრულიად ახალი მომენტი, ძალიან ფაქიზი, ძალიან საინტერესო. მაგალითად, არაჩვეულებრივია მისი **„ვანო და ნიკო“**. ფრანგებს ჰყავთ **ალფრედ ჟარი** — მწერლობაში აბსურდის თეატრის ფუძემდებელი და მას ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. **„ვანო და ნიკოდან“** შესაძლებელი იყო განვითარებულიყო მთელი ნაკადი... ერლომი უბრალოდ შეიზღუდა ცხოვრების პირობების გამო...

60-იანი წლების მერე წყვეტილობა ძალიან დამაფიქრებელია...

რომ ვუყურებ, ახლა საიდან იწყებენ და რას აკეთებენ... იწყებენ ფაქტიურად, წაკითხული ლიტერატურიდან. ჩვენ წაკითხული ლიტერატურიდან არ დაგვიწყია. ჩვენ ვიცხოვრეთ და ცხოვრებაში გამოინასკვა მთელი ლიტერატურული ხედვაც. განსხვავებული იყო ის ქართული და ეს ქართული.

ეს ქართული ინგლისურივით ძალიან დაუახლოვდა სალაპარაკო ენას. თუკი ჟარგონი ინგლისურში, ფრანგულში ენის პარაზიტებად ითვლება და არა ენის შემადგენელ ნაწილად, ქართულში ამ სიტყვებს ფიზიოლოგიური დატვირთვა აქვს. მაგალითად — გინებას. ამიტომ ეს თვითგაუცნობიერებელი გადმოტანა, უბრალოდ, რყვნის აზრს.

აქაც იგივე გაცემის და მიღების თემაა. გაუცნობიერებლად გადმოტანის პრობლემებია.

* * *

**ჯანრი კაშია წერს: „პატრიოტი ის ადამიანია, რომელსაც განსაკუთრებით განვითარებული აქვს ისტორიული ცნობიერება და ისტორიულ ღირებულებათა მნიშვნელობის უპირატესობა თანამედროვეობაზე, როგორიც არ უნდა იყოს ეს თანამედროვეობა“.**

**ეს, ალბათ, იმასაც ნიშნავს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია დღეს იმ თითოეული ინდივიდის როლი, რომელიც ჩვენს საზრისდაცლილ თანამედროვეებთან ზურგშექცევის ნაცვლად, განმანათლებლის ფუნქციით მოდის.**

* * *

**„კვირაძალის საკითხავის“ შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ ჯანრი კაშიასთან საუბარს თემაზე „ნაციონალიზმი ჩვენში და სხვაგან“.**

**ნინო ხოფერია**

**ჩანართზე მუშაობდნენ ნინო ხოფერია და კახა ქორიძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილის პარტიის მთავარ იმედს დაკითხვისთვის ამზადებენ

**მიხეილ სააკაშვილის გარემოცვაში სულ უფრო ცოტა პოლიტიკოსი რჩება, რომლებსაც პრობლემები არ აქვთ კანონთან დაკავშირებით. როგორც მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა განაცხადა, უახლოეს დღეებში დაკითხვაზე გამოიძახებენ პრეზიდენტის პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ძირითად პრეტენდენტს პრეზიდენტის არჩევნებზე ოქტომბერში თბილისის მერს გიორგი უგულავას. მის მიმართ აქვთ პრეტენზიები ფინანსურ დარღვევებზე სამ მილიონ დოლარზე მეტი ოდენობით.**

**თბილისის მერზე გიორგი უგულავაზე აქვთ ეჭვი დიდ საფინანსო დარღვევებში მონაწილეობასთან დაკავშირებით**



უგულავასადმი პრეტენზიები გაჩნდა იანვარში დაწყებული თბილისის ბიუჯეტიდან სახსრების არამიზნობრივი გამოყენების გამოკვლევის დროს. გამოძიებამ, რომელსაც ერთდროულად აწარმოებენ გენერალური პროკურატურა და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური, დაადგინა, რომ 2009 წლის ბოლოდან სამუშაოზე კომუნალურ ორგანიზაცია „თბილსერვისის“ საზოგადოებრიობასთან კავშირების განყოფილებაში გაფორმდა 764 კაცი, რომელთა ხელფასებზეც დედაქალაქის ბიუჯეტმა 5 მილიონ ლარზე მეტი დახარჯა.

„თბილსერვისის“ სამსახური შექმნა მერიამ შვიდი წლის წინათ, ის აწარმოებს საქართველოს დედაქალაქში სანიტარიული წესრიგის უზრუნველყოფას მისი 1 მილიონ 200 ათასი მოსახლეობით. მაგრამ, გამოძიების მტკიცებით, ეს 764 კაცი მასში გაფორმდა ფიქტიურად და ისინი რეალურად ეწეოდნენ წინასაარჩევნო აგიტაციას პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ. ყოველ თბილისელს შეუძლია დაადასტუროს, რომ უკანასკნელ წლებში ნებისმიერი არჩევნების წინ მასთან სახლში მიდიოდნენ ასეთი აქტივისტები და მათ აინტერესებდათ პოლიტიკური განწყობილება. საქართველოს დედაქალაქი ტრადიციულად ითვლება ოპოზიციურად სააკაშვილთან დაკავშირებით. საქართველოს პრეზიდენტმა 2008 წელს აქ წააგო ოპოზიციის მაშინდელ ლიდერთან ლევან გაჩეჩილაძესთან, შარშან კი „ქართული ოცნების“ მაჟორიტარულმა კანდიდატებმა გაიმარჯვეს თბილისის ყველა — 10 რაიონში.

ჩვენმა წყაროებმა სამართალდაცვის ორგანოებში გვაცნობეს, რომ 764 კაციდან 200 უკვე დაკითხეს, და, ყველა მათგანმა ეს ინფორმაცია დაადასტურა. გამოძიებამ განაცხადა, რომ საშტატო განრიგს და სახელფასო უწყისებს ამტკიცებდა უგულავა. მისი მოადგილე ტარიელ ხიზანეიშვილი, წარსულში „თბილსერვისის“ ხელმძღვანელი, უკვე დაკითხვაზეა.

მომხდარს მერმა უწოდა „აშკარა პოლიტიკური დევნა“, რომელიც „ხორციელდება მახინჯი ფორმით საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის დავალებით“. მისი სიტყვებით, „თბილსერვისის“ ეს თანამშრომლები სინამდვილეში არკვევდნენ, თუ როგორ ეკიდებიან თბილისელები ნაგავსადენების ლიკვიდაციას კორპუსებში და მათ შეცვლას მოძრავი ბუნკერებით. ქალაქის თავმა გამოთქვა მზადყოფნა უპასუხოს გამოძიების ნებისმიერ შეკითხვას. მერიის იურიდიულ სამსახურში გვითხრეს, რომ საფინანსო დოკუმენტებს ამტკიცებდა არა მერი, არამედ თბილისის მთავრობა.

37 წლის გიორგი უგულავა პრეზიდენტობის შესაძლო კანდიდატად ითვლება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისგან“. არჩევნები ოქტომბერში გაიმართება. როგორც კი „ნაციონალებმა“ წააგეს არჩევნები პარლამენტში, უგულავა აშკარად დაუპირისპირდა ბიძინა ივანიშვილს, განაცხადა, რომ „დაიწყო დიქტატურის გაფორმების პროცესი“. მისი აზრით, პრემიერს უბრალოდ განზრახული აქვს დაიქვემდებაროს დედაქალაქის ადმინისტრაცია, რომელიც ცენტრალური მთავრობის კონტროლს არ ექვემდებარება. მერიისადმი ამჟამინდელი პრეტენზიები არამიზნობრივ ხარჯებთან დაკავშირებით, არ არის პირველი, რომელიც დაიწყო ცენტრალური აპარატის შეცვლის შემდეგ.

— უგულავას, ისევე როგორც ყოფილ პრემიერს ივანე მერაბიშვილს, უწოდებენ პრეზიდენტობის კანდიდატებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“, მაგრამ გამოძიებას მერიის წინააღმდეგ, აქედან გამომდინარე ყველა შედეგებით, შეუძლია მიაყენოს საგრძნობი ზიანი წინა ხელისუფლების ამბიციებს პოზიციების დაბრუნებაზე, — გვითხრა საქართველოს დამოუკიდებელი ექსპერტების კლუბის თავმჯდომარემ სოსო ცისკარიშვილმა. — სწორედ დედაქალაქის მერია პარლამენტის არჩევნების შემდეგ გახდა პრეზიდენტის პარტიის ბურჯი, აქ სხვადასხვა სამეთვალყურეო საბჭოში ნიშნავენ ცნობილ „ნაციონალებს“, აქ აქვთ სერიოზული საფინანსო ბერკეტები. ვფიქრობ, ამჟამინდელი გამოძიება — ეს მხოლოდ ფრაგმენტია, მერის გვარი შეიძლება „ამოტივტივდეს“ სხვა საქმეებთან დაკავშირებითაც.

გიორგი უგულავა არ არის სააკაშვილის ახლო წრის ერთადერთი წარმომადგენელი, რომელსაც უყენებენ ბრალდებებს უკანასკნელ დღეებში. სხვადასხვა მაქინაციებში ედება ბრალი საქართველოს ყოფილ თავდაცვის მინისტრ დავით კეზერაშვილს, რომელიც გადადგა 2008 წელს სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებულ შეიარაღებულ კონფლიქტში დამარცხების შემდეგ. გამოძიება ამტკიცებს, რომ მან მიითვისა 12 მილიონ დოლარზე მეტი, მფარველობს სხვადასხვა ფირმებს. დაპატიმრებულია თავდაცვის მეორე ყოფილი მინისტრი ბაჩანა ახალაია, რომელსაც ბრალი დასდეს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაჭარბებაში. მისი სასამართლო გაიმართება მარტში. ინტერპოლით გამოცხადებულია ძებნა იუსტიციის ყოფილ მინისტრ ზურაბ ადეიშვილზე.

ИЗВЕСТИЯ

## დედამიწის ზურგზე

### ობამას კანდიდატმა პენტაგონის ხელმძღვანელ პოსტზე გააოგნა სენატი უუნარობით – უპასუხოს შეკითხვებს



ვიეტნამის ვეტერანი, ყოფილი სენატორი, რესპუბლიკელი ჩაკ ჰეიგელი უპასუხებდა მაპროფილებელ კომიტეტს, რომელმაც კენჭი უნდა უყაროს მის კანდიდატურას. პოლიტიკოსი ყოველმხრივ გაურბოდა პასუხებს რთულ შეკითხვებზე და ლამის წონასწორობიდან გამოიყვანა თანაპარტიელი: „ომი ერაყში, ეს ცუდია? მიპასუხეთ, ჰო თუ არა“?

### რუსეთისას ვერაფერს გაიგებ: უცხოელებმა ირწმუნეს, რომ პუტინმა დაიქირავა „ბოიზ-ბენდი“ აშშ-დან შობადობის გასაზრდელად





მოსკოვში წმინდა ვალენტინის დღემდე ცოტა ხნით ადრე გაიმართება ერთ დროს საკულტო ჯგუფის „ბოიზ-ბენდის“ კონცერტი, რამაც რუსეთელები უნდა განაწყოს რომანტიკულად, ხუმრობენ რუსი ჟურნალისტები. მაგრამ უცხოელებმა მომხდარი თავისებურად გაიგეს: მაცივრები ბავშვების სანაცვლოდ და შიშველი ტორსები უკვე აღარ მუშაობენ, ამიტომ პუტინმა დამხმარედ შავკანიანი მსახიობები გამოიძახა.

### გაუფასურებული „რუსი ჯაშუში“

კანადის სამხედრო-საზღვაო ძალების ოფიცერ ჯეფრი პოლ დილაილის, რომელიც რუსეთის სასარგებლო შპიონაჟშია ბრალდებული, 2007-დან 2011 წლამდე ამის საფასურად მიუღია 72 ათასი დოლარი. ადრე მასმედია იუწყებოდა, რომ დილაილი ყოველთვიურად ღებულობდა ხელფასს სამი ათასი დოლარის ოდენობით.

### აშშ და სირიის ოპოზიცია რუსეთის შესახებ: ან ეხმარება ასადს, ან „მწვანე შუქი“ აუნთო დაბომბვას



რუსეთის მისამართით ახალი მკვეთრი ბრალდებით გამოვიდა ჰილარი კლინტონი, რომელმაც პარასკევს დატოვა ამერიკის შეერთებული შტატების გენერალური მდივნის პოსტი. მისი სიტყვები გაისმა ინფორმაციის ფონზე „რუსული კვალის შესახებ“ სამეცნიერო ცენტრში დამასკოსთან, რომელმაც ამ დღეებში დაბომბვა განიცადა. სირიის ხელისუფლება ბრალს სდებს ისრაელს, ოპოზიცია კი ამტკიცებს, თითქოს მოსკოვმა მას „ნეგატიური მწვანე შუქი“ აუნთო.

### აფეთქება მექსიკის ცათამბჯენში: უკვე არის 25 დაღუპული, ნანგრევებიდან ისმის ყვირილი



დაღუპულთა შორის 17 ქალი და 8 მამაკაცია. კიდევ 101 კაცი დაზიანდა, 46 საავადმყოფოში რჩება. ამავე დროს დანგრეულ შენობაში შეიძლება იმყოფებოდეს კიდევ 30 კაცი, ასე რომ, დაღუპულთა და დაზარალებულთა ოდენობა შეიძლება გაიზარდოს. სამაშველო სამუშაოები რთულდება ახალი აფეთქებების საფრთხის გამო.

### ნაომი კემპბელმა ბრიტანულ გაზეთს ფული მოუგო

ბრიტანულმა გაზეთმა ტოპმოდელს სასამართლოს გადაწყვეტილებით ფული გადაუხადა და მას ბოდიშიც მოუხადა იმ მასალის გამოქვეყნებისთვის, რის გამოც პოდიუმის ვარსკვლავს ცხოველთა დამცველების კრიტიკის რისხვა დაატყდა. ნოემბერში გამოქვეყნებულ სტატიაში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ კემპბელი აპირებს თავისი შეყვარებულის ვლადისლავ დორონინის საიუბილეოდ სპილოებით გამართოს პოლო.

### „ადამიანურად კი ალვიქვი, მაგრამ ყველაფერი ეს დიდი სირცხვილია“





ასე შეაფასა სერბეთის პრემიერმა ამ რამდენიმე დღის წინათ ივიცა დაჩიჩის მონაწილეობით ტელევიზიის მიერ მოწყობილი ეროტიკული გათამაშება. პრემიერი მოტყუებით მიიყვანეს მორიგ ინტერვიუზე, რომელიც, როგორც შემდეგ გაირკვა, ორგანიზებული იყო შოუს — „მისია შეუსრულებელია“ ფარგლებში. პრემიერს ტელეწამყვანის სახით კითხვებს უსვამდა ჟურნალ „პლეიბოის“ ყოფილი ფოტომოდელი, რომელსაც ქვედა საცვალი არ ეცვა.

### დიდთოვლობამ ამერიკის შტატებში ავტოკატასტროფები გამოიწვია

მიჩიგანის შტატში ოცზე მეტი მანქანა შეეჯახა ერთმანეთს, რასაც ორი ადამიანი შეეწირა, ოცამდე კაცმა კი ტრავმები მიიღო. ინდიანის შტატში კი სერიოზულად დაშავდა 12 კაცი.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## ელამი კალმით

# კოჰაბიტაცია ველოსიპედით

ყოველ დილას, როცა ბენიტოს შინიდან სამსახურში მიეჩქარება, ვარდისფერ მოედანს ისე არ გაივლის, ნაცების მიერ ძეგლად აღმართულ ველოსიპედს მუხლმოდრეკით არ მიეახლოს. აი, ახლაც, ბენიტომ ის იყო მისასალმებლად ქუდი მოიშველიპა, რომ ქანდაკებასთან ატუზული მამაკაცის ნაცნობი თვალები შემოეფეთა.

— ვა, ფირუზ, შენა ხარ! — გაიხარა ბენიტომ თანასოფლელის ხილვით და დათუჩა ტორი სიყვარულით მხრებზე მოუთათუნა.

— ჰო, ორი დღეა ქალაქში ვარ, მაგრამ ამ შედევრამდე ვერა და ვერ მოვაღწიე, — თქვა დანანებით ფირუზამ, — არადა ,არ მინდოდა შინ ამის უნახავად დავბრუნებულიყავი.

— აბა, რა, — დააქნია ბოხორა თავი ბენიტომ, — მე აგერ ვარ, ორ ნაბიჯზე, მაგრამ თუ ყოველ დილით არ მოვესიყვარულე ამ შობელძაღლს, მთელ დღეს გულის ფრიალი მტანჯავს.



შობელძაღლიო? ფირუზა როგორღაც შეიშმუშნა ამ სიტყვის გაგონებაზე, მაგრამ ბენიტოს ლექსიკით განებივრებულს, მაინც და მაინც უხერხულობა არ უგრძნია, პირიქით, თითქოს ესიამოვნა კიდეც:

— მესმის შენი, ჩემო დუჩე (შინაურები ბენიტოს იტალიელი მუსოლინის პატივსაცემად ზოგჯერ დუჩესაც ეძახიან), ძალიან კარგად მესმის, მაგრამ ერთი რამ მაინც ვერ გამიგია.

— რა ვერ გაგიგია, ტო? — წარბი შეყარა დუჩემ.

— ისა, რომა, ეს ჩვენი პრეზიდენტი ერთთავად ჰაერშია გამოკიდებული და რაღა მაინც და მაინც ველოსიპედის ძეგლი დადგა ამ შუაქალაქში და არა ამერიკული „ბოინგისა“?

— ჰოო, შენ, ჩემო ძმაო, მიშას დემოკრატიას ასე იოლად ვერ ჩაწვდები.

— დემოკრატიას? — პირი დააღო ფირუზამ, — გამაგებინე, რა დემოკრატიაზეა ლაპარაკი?

— ფირუზ, აბა დაფიქრდი, ერთსა და იმავე დროს ორი მიმართულებით მფრინავი ბოინგი სადმე გინახავს? ეს ველოსიპედი იმით არის უნიკალური, რომ თუ მოახტები, ერთდროულად ორივე მიმართლებით გაგაქროლებს.

— მერედა, ვის რაში სჭირდება ასეთი ტუტრუცანა ველოსიპედი?

— ვის სჭირდება და, ჩემო ფირუზ, კოჰაბიტაციას. ეს გახლავთ სწორედ ის კოჰაბიტა ველოსიპედი, რომელიც ევროამერიკული დემოკრატიის ნორმების სრული დაცვით, თუ საჭირო გახდა, ნაცებსა და მეოცნებეებს ერთდროულად სხვადასხვა მიმართულებით გააჭენებს.

— oო, ეს მართლაც მაგარია, — მოიწონა ფირუზამ, — მაგრამ წინასწარ ასეთი უნიკალური დემოკრატია რომელმა ჭკუათმყოფელმა განჭვრიტა?

— რა თქმა უნდა, მიშამ, ჩემო ძმაო, აბა მაგის მეტი ამას ვინ მოიფიქრებდა?

— ჰოდა, ეძახე შენ ამის მერე გიჟი, ეგ კაცი ნაღდად გენიოსია, ძმაო.

— გენიოსი არა ჩემი... — გაწყრა ბენიტო, ერთი მე ვარ ნაპოლეონი და მერე კიდევ ეგა — გენიოსი.

— ამ ორი დღის წინათ ეგ ამბავი ნათელაშვილმაც გააჟღერა.

— ჰოდა, ჩემგან მოპარული გააჟღერა!

— უგულავამ რო თქვა მთავრობაზე „ჩუკუნები“ არიანო, მაგანაც შენგან მოიპარა?

— არა, მაგაზე ერთი ჩემი კოლეგა ავარდა, ლექსიკონები გადაქექა და იცი რა დაადგინა? „ჩუკენობა“ თურმე არც მეტი, არც ნაკლები, „ანანიზმი“ ყოფილა.

— აფსუს, დარწმუნებული ვარ, შენ რო დაინტერესებულიყავი მაგ საკითხით, მაგარ სტატიას გამოაცხობდი.

— აბა როგორ, ჩემი ამბავი ხომ იცი, პირდაპირ მივახლიდი სათქმელს მაგ შობელძაღლ (ნაცებზე გეუბნები) „ხელცქვიტებს“.

ფირუზა ამის გაგონებაზე ერთხელ კიდევ შეიშმუშნა, მაგრამ უხერხულობა რომ განემუხტა, საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა:

— დუჩე, — თქვა მან, — ველოსიპედი ველოსიპედია, მარამ აი ნატოს კარი ჩვენთვის ერთდროულად ღიაც რომ არის და დახურულიც, ესეც კოჰაბიტაციის ნაყოფია?

— ჰოო, ეს მომწონს, — გაიბადრა ბენიტო (იგივე დუჩე), — რაც მართალია მართალია, კარგი შეკითხვა დამისვი. საქმე იმაშია, ჩემო ძმაო, რომ ეს ჩვენი ნაცები უფრო ხელცქვიტები არიან, ვიდრე თავცქვიტები.

— ეგ როგორ უნდა გავიგოთ?

— როგორც გინდა ისე გაიგე. შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ ნატოს კარი ნამეტანი ვიწროა და ეს ჩვენი მაგრად ნასვამ-ნაჭამი ნაცები ვერაფრით გაეტივნენ.

— ამიტომ თავის დროზე მაგათ ბენდუქიძე კი არა, ხაბაზი უნდა გაეშვათ, ტანმცრეა და იოლად გაძვრებოდა.

— იჰ, ხაბაზი აქაც არ უქნია ღმერთს და იქ გასაძრომად როგორ გამოდგებოდა, — დაიწუნა კანდიდატურა ბენიტომ.

— მიშა, ჩვენი პრეზიდენტი მიშა? ღმერთო ჩემო, ეს როგორ არ გაახსენდათ? — თავში შემოირტყა ფირუზამ.

— მიშა კიდევ მაღალია და შეიძლება კარისთვის თავი შეერტყა.

— შეერტყა? მაგისთვის ეგ არაფერია, დუჩე, მიშას ბევრჯერ და ბევრი რამისთვის შეურტყამს თავი, მ აგრამ არასოდეს სტკენია და არც ტვინი აზნევია.

— აბა ბიჭო, არ აზნევია. ტვინი რომ არ აზნეოდა, როგორ ფიქრობ, არჩევნებს წააგებდა? თანაც ხო ხედავ, რა დონეზე გააზდლდა, მეფისტოლა კაცი რას ლაპარაკობს თვითონაც არ გაეგება.

— აბა აღარაფერი გვეშველება? — გულწრფელად შეწუხდა ფირუზა.

— როგორ არ გვეშველება. ამ ველოსიპედს ტყუილად კი არ ველოლიავები, შე კაცო, დამთავრდება ეს რაღაც კოჰაბიტაცია, დასხდებიან ამ კოჰაბისტა ველოსიპედზე ერთ მხარეს პრეზიდენტი, მეორე მხარეს — პრემიერი, მიადგებიან ატლანტიკურ ალიანსს და საკუთარი თვალით ვნახავთ, ხელგაშლილი რასმუსენი როგორი სტუ-



მართმოყვარეობით შეეგებება ქართველ სატელიტებს — მობრძანდით, ბატონებო, თქვენთვის ყოველთვის ღია იყო და არის ახლაც ნატოს კარი! — გაამხნევა ბენიტომ თანასოფლელი და მეტი დამაჯერებლობისათვის ჩაჩაჩული შარვალი ფაქიზად შეისწორა.

**ოტია ჩართოლანი**

## რა ენა წახდეს...

# ისევ იმ საკითხზე განუხებთ...

(მეხუთე გვერდიდან)

შემდეგი წყვილები (კვლავ აღრევადზეა ლაპარაკი) შედარებით დაშორებული სიტყვებისაგან შედგება: ფორმა-ფორმატი, ცივილიზებული-ცივილური და ჰუმანური-ჰუმანიტარული. ამ სამ „აგრეგატს“ ერთი საერთო „სენი“ სჭირს: პირველი კომპონენტები შეავიწროვეს, დაჩაგრეს, გარიყეს მეორე მდგენელებმა — ფორმატმა-ფორმა, ცივილურმა — ცივილიზებული და ჰუმანიტარულმა — ჰუმანური.

ცალკე აღსანიშნავია ფორმატის ფენომენი: ერთ დროს მოკრძალებული განსაზღვრის მქონე, უბრალო ფუნქციის მატარებელი (წიგნის, ფურცლის, ბარათის ზომა, ანაწყობის სიგრძე და სიმაღლე) მთლიანად გადაეფარა და გაუბატონდა ფორმას. ტელეეკრანიდან სულ ფორმატი გაისმის: შეხვედრამ დახურული (ან ღია) ფორმატით ჩაიარა; მოთხოვნა ულტიმატუმის ფორმატით გადაეცა მეორე მხარეს; მინისტრებმა დიალოგის ფორმატით გაცვალეს მოსაზრებანი და სხვ.

ახლა ბევრს ფორმა მარტო მაისური და ტრუსი ჰგონია; არადა ფორმა რისამე გარეგნულ გამოხატულებას, სახეობას, ნაირსახეობას, გარეგნულ სახეს, დადგენილ ნიმუშს და არაერთ სხვასაც ნიშნავს და მოდით, ერთად განვსაჯოთ — მინისტრებს დიალოგის ფორმით უნდა წარემართათ აზრთა გაცვლა-გამოცვლა თუ დიალოგის ფორმატით, ასპარეზობა წრიული ფორმით უნდა გამართულიყო თუ წრიული ფორმატით... დასანანია: ფორმატი უკვე იმდენად ფესვგადგმულია, რომ საეჭვოა, ფორმამ დაიბრუნოს კუთვნილი ადგილი და ძველი უფლებამოსილება აღიდგინოს...



პარლამენტარი რომ ქუთაისური ტრიბუნიდან გადმოდგება და მიმტკიცებს, რუსეთთან შეუძლებელია ცივილური ურთიერთობების დამყარებაო (სულ ერთია, უმცირესობას წარმოადგენს თუ უკმარისობას), მან არ იცის, რომ ცივილურის მაგიერ ცივილიზებული უნდა თქვას (ფრაზის შინაარსს შევეშვათ ამჯერად): ცივილური ნიშნავს სამოქალაქოს, არა სამხედროს (ჩვენი მორიგი მინისტრი თავდაცვისა ჯერჯერობით ცივილური ტანსაცმლით დადის...); ცივილიზებული კი კულტურულს, განვითარებულს; ამრიგად, გერმანია, იტალიაა თუ ინგლისი, ევროპის ცივილური ქვეყნები კი არ არიან, არამედ ცივილიზებული. ასეა ეს...

ასევე „თავზე წამოაჯდა“ ჰუმანიტარული ჰუმანურს: თურმე გემს ჰუმანიტარული ტვირთი გადაჰქონდა; თურმე დამშეულ კენიას ჰუმანიტარული დახმარება აღმოუჩინეს... კიდევ ერთხელ ჩავხედოთ „უცხო სიტყვათა ლექსიკონს“: ჰუმანიტარული — საზოგადოებრივი მეცნიერებანი (ისტორია, ფილოლოგია, ფილოსოფია და სხვ.), საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათაგან განსხვავებით; ჰუმანური — ადამიანური, კაცთმოყვარული; მაშ ის ტვირთი ჰუმანური უფრო ყოფილა, ხომ? კენიისათვის დახმარება უფრო ჰუმანური გაუწევიათ, ვიდრე ჰუმანიტარული, ხომ?..

რა ვქნათ საბოლოოდ: დავუჯეროთ არსებულ ლექსიკონებს თუ ახლის შედგენა მოვითხოვოთ, სადაც გადასინჯული იქნება ძველი განმარტებები და რაკი დრომ ახალი ძალით დაჰკრა, მარტო ადამიანი კი არ გახდეს სხვა, არამედ... უცხო სიტყვებიც...

მანამდე კი ეგებ სჯობს, საკუთარი მეტყველებითი ნორმები, ფორმები (არა ფორმატები!) შეხედულებები გადავსინჯოთ და მოვაწესრიგოთ — მინისტრები გვქვია, პარლამენტარები, პოლიტოლოგები, მიმომხილველები, ექსპერტები თუ სპეციალისტები...

მკითხველს ვთხოვ, შემთხვევით არ იფიქროს, თითქოს ამ წერილის ავტორს უცხო ენები ან თუნდაც უცხო სიტყვები თავზე გადასდის... უბრალოდ, სწორმეტყველებას, მართლწერას ვეკიდები პასუხისმგებლობითა და გულისყურით და თავზე... ლექსიკონებს ვადგავარ...

**თამაზ ეზანოიძე**

## დაზუსტება

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ „E-60 ჩქაროსნული მაგისტრალის აგარის შემოვლითი გზა –დიდი სატივე კმ19-კმ31 მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოებზე ზედამხედველობის საკონსულტაციო მომსახურებისათვის“ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ **2013 წლის 30 იანვარს** გამოქვეყნებულ სატენდერო მოწვევაში № EWHIP–4/CS/QCBS/01 შეტანილი იქნა შემდეგი ცვლილება:

1. საკონსულტაციო მომსახურება (”მომსახურება”) მოიცავს **E-60 ჩქაროსნული მაგისტრალის აგარის შემოვლითი გზა – დიდი სატივე კმ19-კმ31 მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოებზე ზედამხედველობის გაწევას.** კონსულტანტს დაევალება E-60 ჩქაროსნული მაგისტრალის აგარის შემოვლითი გზა – დიდი სატივე მონაკვეთზე ახალი სავალი ნაწილის მშენებლობის ზედამხედველობა. სამუშაოების დაწყება იგეგმება არა უგვიანეს 2013 წლის მაისი-ივნისის თვისა. სამუშაო კონტრაქტის სავარაუდო ხანგრძლივობაა **27 თვე**.

2. ინტერესის გამოხატვა წერილობითი სახით წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე (პირადად, ფოსტის, ფაქსის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით) არა უგვიანეს **2013 წლის 21 თებერვლის 17:00 საათისა.**

## Clarification

Amendment has been made to Request for Expression of Interest Ref. No. EWHIP–4/CS/QCBS-01 for "Supervision of construction works for Agara Bypass - Didi Sative Section (km19–km33) of E-60 Highway", published in the local newspaper "Republic of Georgia" by the Roads Department of Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia on **January 30, 2013**, as follows:

1. The consulting services ("the Services") include **Supervision of construction works for Agara Bypass - Didi Sative Section (km19–km33) of E-60 Highway**. The Consultant will be tasked to supervise the construction of a new carriageway along Agara Bypass to Didi Sative Section of E-60 Highway. Works are expected to start not later than May-June, 2013. The estimated duration of works contract is **27 months**.

2. Expressions of Interest must be delivered in a written form to the address below (in person, or by mail, or by fax, or by e-mail) by **February 21, 2013, 17:00 hours**.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

კონფლიქტი

# საჭიდაო ოჯახი გაიბზარა



**ქართველი ფალავნები ოდითგანვე გამოირჩეოდნენ ერთ მუშტად შეკრული საჭიდაო ოჯახით, თანადგომით, ურთიერთგატანით. ზოგს შურდა კიდეც მათი ასეთი ერთსულოვნება. და აი, ამგვარ ოჯახს ბზარი გაუჩნდა. დაპირისპირებამ მას შემდეგ იჩინა თავი, რაც ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ახალმა პრეზიდენტმა, ორგზის მსოფლიოს და ხუთგზის ევროპის ჩემპიონმა ლუკა კურტანიძემ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ეროვნული, ახალგაზრდული და ჭაბუკთა ნაკრები გუნდების მთავარი მწვრთნელები თანამდებობიდან გაათავისუფლა.** კულმინაციად ფედერაციის თავკაცსა და ვიცე-პრეზიდენტ თემურ ყაზარაშვილს (ისიც მსოფლიოს ჩემპიონია) შორის შეხლა-შემოხლა იქცა. სამი დღეა ჭიდაობის ფედერაციაში უსიამოვნო ამბები გრძელდება. ორივე მხარეს ჰყავს მომხრეები. როგორც ყაზარაშვილი ამბობს, მან ხელი არ მოაწერა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ახალი მთავარი მწვრთნელებისთვის ხელფასების დანიშვნას, რადგან ძველები იმ ბრძანებაში არ ფიგურირებდნენ. ამ ფაქტს შელაპარაკება მოჰყვა. „კურტანიძემ ხელი მკრა, წავიქეცი თუ არა, წიხლიც მომაყოლა“, — დასძენს ყაზარაშვილი.

„მოჭიდავეები ვართ, ემოციები ჩვენთვის ჩვეულებრივი ამბავია. იმედია, ეს ყველაფერი მალე დალაგდება და შევრიგდებით“, — აცხადებს მეორე მხარე. სპორტის სამინისტრო ცდილობს, დაპირისპირებული მხარეები შეარიგოს. ჩვენც გვჯერა, რომ ინციდენტი მალე ამოიწურება და ჭიდაობის ფედერაციაში ყველაფერი ნორმალურ კალაპოტში ჩადგება, მაგრამ მომხდარი ფაქტი მაინც შავ ლაქად გაჰყვება ამ ოჯახს. ან ახლა რა დროს დაპირისპირებაა, როცა თვე-ნახევარში მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატს უნდა ვუმასპინძლოთ და მთელი ყურადღება იმ შეჯიბრებისკენ უნდა იყოს მიპყრობილი.

**ლაშა დიდია**

ვულოცავთ!

# ნინო სალუქვაძე იუბილარია



**ოლიმპიური ჩემპიონი ტყვიის სროლაში და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი ნინო სალუქვაძე იუბილარია. ვულოცავთ ქალბატონ ნინოს დაბადების დღეს, ჯანმრთელობას, პროფესიულ წინსვლას და მორიგ მიღწევებს ვუსურვებთ!**

ნინო სალუქვაძე ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქართველი სპორტსმენია და ერთადერთია, ვინც ოლიმპიურ თამაშებზე სამივე სინჯის მედალი მოიგო: 1988 წელს სეულში ოქროს და ვერცხლის მედლები მოიპოვა, 2008 წელს კი პეკინში ბრინჯაოს დაეუფლა. ამას გარდა ნინო სალუქვაძემ პირად და გუნდურ ჩათვლაში შვიდჯერ მოიგო მსოფლიოს ჩემპიონატი, ცხრაჯერ — მსოფლიოს სუპერთასი, ევროპის პირველობა კი — ხუთჯერ.

ნინო სალუქვაძე იმ თითზე ჩამოსათვლელ სპორტსმენთა შორისაა, რომლებსაც 7 ოლიმპიურ თამაშებზე უასპარეზიათ. შარშან, ლონდონის ოლიმპიადაზე ქალბატონი ნინო საქართველოს ოლიმპიური გუნდის მედროშე გახლდათ. მას მსოფლიოს ოცამდე რეკორდი ეკუთვნის. არის ღირსების და ვახტანგ გორგასლის II და III ხარისხის ორდენების კავალერი.

**მანუჩარ გიორგაძე**

# შაში დროზე კვლავაც მოვა...



**ცნობილი, ღვაწლმოსილი მშენებელი, „სპეცმონტაჟმშენის“ მმართველი, შესანიშნავი პიროვნება, ნარდში მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული, ოქროს კამათლების შვიდგზის მფლობელი, მონტე-კარლოს 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ტრიუმფატორი ომარ დვალი 70 წლის გახდა.**

კვლავაც სულ წარმატებები ყოფილიყოს თქვენი მეგზური, ბატონო ომარ, სპორტშიც და პროფესიულ საქმიანობაშიც, დღეგრძელობა, ჯანმრთელობა და დიდი ადამიანური ბედნიერება არ მოგაკლოთ გამჩენმა!

გვერწმუნეთ, შაში დროზე კვლავაც მოგივათ კარგ მონარდეს! თანაც — მრავალგზის!

**საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა საენციკლოპედიო-საგამომცემლო ფონდი;
საქართველოს ნარდის ასოციაცია.**

ჭადრაკი

# პირველ ათეულში მხოლოდ ძაგნიძეა

**წლეულს არნახულ შედეგებს აღწევს ნორვეგიელი დიდოსტატი მაგნუს კარლსენი. ახალგაზრდა მოჭადრაკემ ჯერ კიდევ 2013 წლის პირველი იანვრისთვის დაამხო მსოფლიოს მე-13 ჩემპიონის — გარი კასპაროვის უნიკალური რეკორდი, როცა საკუთარი რეიტინგი 2861-მდე გაზარდა. გასულ ერთ თვეში კარლსენმა პირადი მიღწევა 2872-მდე აიყვანა და პირველი თებერვლისთვის უწინდებურად სათავეში უდგას მოჭადრაკე ვაჟთა ასეულს.** აღსანიშნავია, რომ ორიოდე დღის წინათ ვეიკ-ან-ზეეს სუპერტურნირიც მოიგო. კლასიფიკაციაში მეორე ადგილზეა რუსი ვლადიმირ კრამნიკი, რომელიც ნორვეგიელს 62 პუნქტით ჩამორჩება. 2800-იანთა კლუბის კიდევ ერთი წევრი — ლევონ არონიანი (სომხეთი) 2809 პუნქტით მესამეა. ათეულში მომდევნო ადგილებზე მოდიან: თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი, 2793), სერგეი კარიაკინი (რუსეთი, 2786), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2780), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, 2871), ჰიკარუ ნაკამურა



(აშშ, 2767), შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი, 2766), ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი, 2764). ვაჟთა საუკეთესო ასეულში ერთადერთი ქართველი დიდოსტატია — გალელი **ბაადურ ჯობავა,** რომელიც 2702 პუნქტით 50-ე ადგილზე ჩამოქვეითდა.

ქალებში **ნანა ძაგნიძემ** 2555 პუნქტით მეხუთე ადგილი შეინარჩუნა, თუმცა ჩინელი ჟაო სიუ, რომელიც ორიოდე დღის წინათ დამთავრებულ გიბრალტარის საერთაშორისო ტურნირში ქალთა შორის პირველი იყო (ნანა ძაგნიძემ მე-5 ადგილი დაიკავა) ჩვენებურს მხოლოდ ერთი პუნქტით ჩამორჩება. ასეულის სათავეში ისევ უნგრელი იუდით პოლგარია — 2696. მეორე ადგილზეა მსოფლიოს ექსჩემპიონი ჰოუ იფანი (ჩინეთი, 2617), მესამე-მეოთხე ადგილებს ჰამფი კონერუ (ინდოეთი, 2597) და ანა მუზიჩუკი (სლოვენია, 2582) ინაწილებენ. მეექვსე-მეათე ადგილებზე კი ჟაო სიუ (ჩინეთი, 2554), კატერინა ლაგნო (უკრაინა, 2547), ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი, 2531), მარი სებაგი (საფრანგეთი, 2530) და პია კრამლინგი (შვედეთი, 2523) არიან.

ძაგნიძის გარდა, ასეულში კიდევ შვიდი ქართველია: 17. **ბელა ხოტენაშვილი** (2499), 31. **ლელა ჯავახიშვილი** (2461), 43. **ნინო ხურციძე** (2437), 54. **სოფიკო გურამიშვილი** (2414), 64. **სალომე მელია** (2403), 70. **ნაზი პაიკიძე** (2392), 75. **სოფიკო ხუხაშვილი** (2386). 20-წლამდელ გოგონებში **ნაზი პაიკიძე** (2392) მეოთხეა, **მერი არაბიძე** (2355) — მეშვიდე, **მარიამ დანელია** (2252) კი — 25-ე. ბიჭების ასეულში **ზურაბ ჯავახაძეს** (2449) მეოთხმოცე ადგილი უკავია.

**ლექსო ცინცაძე**

დაჯილდოება

# „ლელოს“ რჩეულიც ოლიმპიური ჩემპიონია

**შარშან სპორტულმა გაზეთმა „ლელომ“ პირველად მოაწყო მკითხველთა რეფერენდუმი წლის საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენად. მაშინ ლაურეატობა მორაგბე მამუკა გორგოძეს ხვდა. წლევანდელ გამოკითხვაში 10.000-ზე მეტი მკითხველი მონაწილეობდა.** შედეგიც ლოგიკური აღმოჩნდა — ხმათა დიდი უმრავლესობა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, სპორტის სამინისტროს და სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ვერსიით წლის საუკეთესო სპორტსმენმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლაშა შავდათუაშვილმა დაიმსახურა (სხვათა შორის, ლაშას იმ დღეს 21 წელი შეუსრულდა). კულტურის საერთაშორისო ცენტრ „მუზაში“, სადაც ოლიმპიური ჩემპიონები, ძიუდოს ფედერაციის ხელმძღვანელები, შავდათუაშვილის მწვრთნელები, ლონდონის ოლიმპიადის მედალოსნები და სპორტული სამყაროს წარმომადგენლები შეიკრიბნენ, „ლელოს“ გამოკითხვის — „2012 წლის საუკეთესო სპორტსმენის“ შედეგების შეჯამება და დაჯილდოება გაიმართა. გამარჯვებულს მთავარი პრიზი გაზეთ „ლელოს“ რედაქტორმა თენგიზ გაჩეჩილაძემ გადასცა.

„მუზაში“ საუკეთესო სპორტსმენის გარდა, „ლელომ“ რამდენიმე ნომინაციაში საკუთარი ვერსიით გამორჩეულებიც დაასახელა და დააჯილდოვა. „საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენის“ წოდება ბათუმელ მოჭიდავე **რამაზ ზოიძეს** მიენიჭა, რომელიც შარშან ჭაბუკებში ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიოს ვიცე და ევროპის ჩემპიონი გახდა. საუკეთესო მწვრთნელად ოლიმპიური ჩემპიონის პირველი დამრიგებელი **ნიკო ბიბილაშვილი** დასახელდა, **გურამ პაპიტაშვილი** ძიუდოს განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის დაასაჩუქრეს. „სპორტის უჩინარი მუშაკის“ წოდება ცხენოსნობაში ვეტერინარ **გიორგი ციციშვილს** ერგო, დაჯილდოვდა უხუცესი სპორტული ჟურნალისტი **გარუნ აკოფოვიც**.

ღონისძიებაზე ლატარეაში კიმონო გათამაშდა ოლიმპიური ჩემპიონის ავტოგრაფით. ის ახალგაზრდა ძიუდოისტმა **გიგა გიგუაშვილმა** მოიგო. საგულისხმოა, რომ ყველა ნომინანტმა საჩუქრად „ლელოზე“ ერთწლიანი უფასო ხელმოწერაც მიიღო.



**გივი გაგუა**

კალათბურთი

# მწირი მონაგარი

**გიორგი შერმადინმა ევროლიგის მოქმედ ჩემპიონ პირეოსის „ოლიმპიაკოსის“ სასტარტო ხუთეულში მორიგი მატჩი დაიწყო, მისმა გუნდმა კი სტამბოლის „ფენერბაჰჩეს“ 82:71 სძლია და ევროპის უმთავრესი ტურნირის მეოთხედფინალში გასვლის შანსი გაზარდა.**

ქართველმა ცენტრმა მოედანზე 17 წუთი დაჰყო, რა დროშიც 7-დან 4 ორქულიანი ჩააგდო და 8 ქულას 3 მოხსნა, 1 პასი და ჩაჭრა წაამატა. შერმადინმა 4 პერსონალური ფოლი მიიღო, 1 შეცდომა დაუშვა და ერთხელაც მას დაუფარეს.

ზედიზედ 5 მოგების შემდეგ პირველი მარცხი განიცადა ვიქტორ სანიკიძის „მონტეპასკიმ“. სიენელებმა ესპანეთში „ბარსელონასთან“ 66:85 წააგეს და ლიდერობა სწორედ კატალონიელებს გადააბარეს.





ქართველი ფორვარდი სიენელთა სასტარტო შემადგენლობაში არ ყოფილა, ხოლო იმ 14 წუთში, რომელიც მას მწვრთნელმა დაუთმო, 2 ქულა, 4 მოხსნა და 2 ჩაჭრა მოაგროვა. სანიკიძემ 3-დან 1 ორქულიანი ჩააგდო, სამქულიანი და 2 საჯარიმო ააცილა, 1 შეცდომა დაუშვა, ორჯერ დაჯარიმდა და მის წინააღმდეგაც თამაშის წესები ამდენჯერვე დაირღვა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ფეხბურთი



# წილი ნაყარია

**შვეიცარიის ქალაქ ნიონში, უეფას შტაბ-ბინაში 21-წლამდელ ფეხბურთელთა ევროპის 2015 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის წილისყრა გაიმართა, რომელსაც საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალექსანდრე ჩივაძე და ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკური დირექტორი ნიკა ჩხეიძე დაესწრნენ.**

ევრო 2015-ის საკვალიფიკაციოში ქართველი ახალგაზრდები მესამე შესარჩევ ჯგუფში იასპარეზებენ ჰოლანდიის, შოტლანდიის, სლოვაკეთის და ლუქსემბურგის ნაკრებებთან ერთად. ჩვენს გუნდს ამ მეტოქეებთან არასდროს უთამაშია.

**გიორგი შოთაძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## სანთელი

# ნოდარ ანდღულაძე



ქართულმა მუსიკალურმა ხელოვნებამ უმძიმესი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ჩვენი ვოკალური ხელოვნების და პედაგოგიკის ბურჯი, უნიკალური მასშტაბისა და შემოქმედებითი დიაპაზონის პიროვნება **ნოდარ დავითის ძე ანდღულაძე**.

მრავალი ათეული წლის მანძილზე თბილისის საოპერო თეატრის სოლისტი (დრამატული ტენორი), კონსერვატორიის პროფესორი და სოლო სიმღერის კათედრის უცვლელი გამგე, საქართველოს სახალხო არტისტი, ზ. ფალიაშვილის სახელობისა და საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიკოსი, ქართული ვოკალური კულტურის ფონდის პრეზიდენტი – ასეთია ბატონი ნოდარის წოდებათა და დამსახურებათა არასრული ჩამონათვალი.

მან წარუშლელი კვალი დატოვა მე-20 საუკუნისა და 21-ე საუკუნის პირველი ათეულის ქართულ ვოკალურ (ძირითადად, საოპერო) ხელოვნებასა და ვოკალურ პედაგოგიკაში, სადაც მოიპოვა დიდი საერთაშორისო ავტორიტეტი და ფართო აღიარება.

ბატონი ნოდარი დაიბადა 1927 წლის 13 დეკემბერს. გამოჩენილი ქართველი მომღერლის, სსრკ სახალხო არტისტისა და კონსერვატორიის პროფესორის დავით ანდღულაძის ოჯახში და მისგან მიიღო ვოკალის პირველი გაკვეთილები. მომღერალი იყო ნოდარის დედაც – ქალბატონი ბარბარე მამამთავრიშვილი, მაგრამ მანამდე, ჯერ კიდევ 1950 წელს მან დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, რის შემდეგაც ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას (მისი ხელმძღვანელი იყო გამოჩენილი ქართველი ენათმეცნიერი, აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა).

კონსევრატორია ბატონმა ნოდარმა ექსტერნული წესით დაამთავრა, ხოლო 1956 წლიდან იგი თბილისის საოპერო თეატრის სოლისტია. 1961-62 წლებში მან სტაჟირება გაიარა მილანის საოპერო თეატრ – „ლა სკალა“-ში ცნობილი ვოკალის პედაგოგის პროფესორ ჯ. ბარას ხელმძღვანელობით. თავისი სცენური მოღვაწეობის მანძილზე ნ. ანდღულაძემ შეასრულა დრამატული ტენორის 30-ზე მეტი პარტია, რომელთა შორისაა რადამესის, მონრიკოს, ოტელოს, გერმანის, ლოენგრინის, ტურიდუს, ჰეროდეს და სხვა პარტიები. დიდი ადგილი დაიკავა ფენომენალური მომღერლის რეპერტუარში ქართულმა ოპერამ, სადაც მან აბესალომის, მალხაზის, ტარიელის (შ. მშველიძის „ამბავი ტარიელისა“), მინდიასა და არზაყანის (ო. თაქთაქიშვილის „მინდია“ და „მთვარის მოტაცება“) პარტიები შეასრულა.

საარბრიუკენის საოპერო თეატრში გამოსვლის შემდეგ ადგილობრივი გაზეთი წერდა ნ. ანდღულაძის შესახებ: „იტალიურ ყაიდაზე თითქოსდა გრანიტისაგან გამოძერწილი ტენორი რადამესისა და ოტელოს სახეების შესრულებით შევა მსოფლიოს მომღერალთა ელიტაში“. ჭეშმარიტად!

ტრიუმფალური იყო ნოდარ ანდღულაძისა და ცისანა ტატიშვილის გამოსვლები გერმანიის ქალაქებში 1969 წელს. თითქმის ბოლო წლებამდე ბატონმა ნოდარმა შეინარჩუნა თავისი ულამაზესი, ფოლადისებრი ხმა, რითაც აოცებდა ყველას.

პედაგოგიურ მოღვაწეობას ნ. ანდღულაძე ეწეოდა თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე. 1974 წლიდან განაგებდა სოლო სიმღერის კათედრას კონსერვატორიაში. მისი პირადი დამსახურებაა, კოლეგებთან ერთად, რომ თანამედროვე საერთაშორისო ასპარეზზე ასეთი დიდი აღიარებით სარგებლობენ ახალგაზრდა ქართველი მომღერლები. ბატონი ნოდარის მოწაფეები არიან ისეთი ცნობილი მომღერლები, როგორებიცაა თემურ გუგუშვილი, ლადო ათანელიშვილი, ნუგზარ გამგებელი, ზაზა ზაალიშვილი, პაატა სვანიძე, გია ონიანი, მედეა ნამორაძე, გულიკო კარიაული, ანატოლი ჭურღულია, ელიზავეტა მარტიროსიანი, არმაზ დარაშვილი და სხვები.

დიდი მაესტროს პედაგოგიურმა გამოცდილებამ განზოგადებული განხორციელება პოვა მის უნიკალურ წიგნში „Homo cantor“ („მომღერალი ადამიანი“), რომელიც წარმოგვიდგება ვოკალისა და ვოკალური პედაგოგიკის ჭეშმარიტ ენციკლოპედიად.

ბატონი ნოდარი სისტემატურად მართავდა ღია გაკვეთილებსა და თეორიულ მეცადინეობებს ჩვენთან და სხვადასხვა ქვეყანაში, სადაც მას იწვევდნენ ხოლმე ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსების ჟიურის თავმჯდომარედ ან წევრად. 1993 წლიდან იგი მილანში „კარუზოს შესწავლის ცენტრის“ წევრი იყო.

დიდი მწუხარებითა და სინანულის გრძნობით ვემშვიდობებით ქართველი ხალხის საამაყო შვილს – ძვირფას ნოდარ ანდღულაძეს.

დიდი მომღერლის, შემოქმედისა და პედაგოგის ბატონ ნოდარ ანდღულაძის სახელი სამუდამოდ დარჩება ქართული მუსიკალური ხელოვნების ისტორიაში, დამკვიდრდება მომავალი თაობების ცნობიერებაში.

**თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია;**
**თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი.**

---

გარდაიცვალა მსოფლიოში განთქმული ქართველი მომღერალი, ბატონი **ნოდარ ანდღულაძე**. მომღერალთა ოჯახში დაიბადა, ბავშვობიდანვე გამოვლინდა მისი ვოკალური ნიჭი. იყო უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა სპეციალისტი, დაიცვა დისერტაცია და პარალელურად სწავლობდა კონსერვატორიაში. მამასთან ერთად მუშაობდა ხმის ჩამოყალიბებაზე და ჩაირიცხა ოპერის სოლისტად. ლა სკალაში 2003 წელს დიდი წარმატებით შეასრულა ურთულესი პარტიები ლუჩანო პავაროტისთან ერთად და თბილისის საოპერო თეატრი მრავალფეროვანი რეპერტუარით გაამდიდრა.

„ნოდარ ანდღულაძე უტყუარი ნიჭისა და განუსაზღვრელი შესაძლებლობების მქონე მომღერალია, მისი ლირიკულ-დრამატული ტენორი, ბრწყინვალე და მელოდიურია“ – დაიწერა საერთაშორისო პრესაში. იტალიურ ენაზე თბილისში შეასრულა რადამესის პარტია და მთელი გუნდი აამღერა, რასაც საერთაშორისო გამოხმაურება მოჰყვა. დაჯილდოებულია ოქროს მედლით, სახელმწიფო პრემიით, უამრავი ჯილდოთი. „ვმღერი, მაშასადამე, ვარსებობ“ – ეს იყო მისი ცხოვრების მრწამსი. მსოფლიოში აღიარებულმა მომღერალმა და მეცნიერმა მრავალი ასპირანტი აღზარდა, მისმა მონოგრაფიებმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი გულისტკივილით ეთხოვება დიდებულ ქართველს, თანაუგრძნობს ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

**მერაბ ბერძენიშვილი**



**შემოქმედებითი კავშირი საქართველოს თეატრალური საზოგადოება ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ქართველი მომღერლის**

**ნოდარ ანდღულაძის**

**გარდაცვალების გამო.**

## გახსენება

# იოსებ (სოსო) ხარატიშვილი



ქართველ მშენებელთა პატრიარქს, დიდი კაცს და ყველასათვის სათაყვანებელ პიროვნებას **იოსებ (სოსო) ხარატიშვილს** 4 თებერვალს 90 წელი შეუსრულდებოდა.

ბატონი სოსოს ახლობლებს, კოლეგებს, თანამშრომლებს, მოწაფეებს და, რა თქმა უნდა, ოჯახის წევრებს, გვიწევს ამ ბრწყინვალე პიროვნების გარეშე ცხოვრებასთან შეგუება, თავს კი იმით ვიიმედებთ, რომ მას არასოდეს დავივიწყებთ და იგი თავისი კეთილი საქმეების გახსენებით ყოველთვის ჩვენთან იქნება.

საქვეყნოდ აღიარებული მაღალი რანგის პროფესიონალის, ჭეშმარიტი მამულიშვილის, მაღალი ზნეობის, სამართლიანისა და მომთხოვნის, ამასთანავე ზედმიწევნით ობიექტური პიროვნების, ბატონი სოსოს არდავიწყება და მისი სახელის გულწრფელი პატივისცემა სავსებით გამართლებული, ლოგიკური, ამავე დროს გრანდიოზულია.

ბატონ სოსოს, ქვეყნად სასოფლო მშენებლობის, როგორც დამოუკიდებელი დარგის ფუძემდებელს, შემდეგ კი მშენებლობის მინისტრს, საქართველოს მინისტრთა საბჭოს განყოფილების გამგეს, საქართველოს პარლამენტის ორგზის მოწვევის დეპუტატს და დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს გამორჩეული ადგილი ეჭირა და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ქვეყნის ხელმძღვანელობაში, კოლეგებსა და მეგობრებში.

იოსებ ხარატიშვილის მადლიან ნამოღვაწარს უფრო მეტად შეხვდებით სასოფლო-სამეურნეო, შემდეგ კი სამრეწველო და სამოქალაქო დანიშნულების შენობა-ნაგებობების პროექტირებასა და მშენებლობაში. დიდია მისი ღვაწლი საქართველოსა და სომხეთში მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციის საქმეში. მისი ინიციატივითაა შექმნილი საქართველოს მშენებელთა ფედერაცია, სადაც წლების განმავლობაში იგი იყო პრეზიდენტი, შემდეგ კი საპატიო პრეზიდენტი. მისი მზრუნველობა არც თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობასა და ქართული ფეხბურთის პრობლემებს დაკლებია.

საქართველოს უმშვენიერეს კუთხეში კახეთში ქართულ ტრადიციულ ოჯახში აღზრდილ სოსო ხარატიშვილს სიცოცხლის ბოლომდე შერჩა ბრძენი ქართველი კაცისათვის დამახასიათებელი თვისებები. დახვეწილი გარეგნობა, მჭევრმეტყველება, დიდი ცხოვრებისეული გამოცდილების ქვეყნისთვის სასარგებლოდ წარმართვის შეუდარებელი ნიჭი, გამოცდილების ახალგაზრდობისთვის გადაცემაზე ზრუნვა, კარგი მეგობრობა და თანამშრომლობა, კარგი ოჯახის ხელმძღვანელობა, მშობლების დიდი პატივისცემა – ასე დარჩა ხსოვნაში სოსო ხარატიშვილი საზოგადოებას. მისი სახელის გახსენებას დახანება არ დასჭირდება. იგი ეხსომებათ მის ახლობლებს, მეგობრებს, ყოფილ თანამშრომლებს, მოწაფეებს და ყველას მას, ვისაც ერთხელ მაინც ჰქონია მასთან ურთიერთობა.

დაე, მსუბუქი იყოს იოსებ ხარატიშვილისათვის მისი უსაყვარლესი თბილისის მიწა!

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული!

**ედუარდ შევარდნაძე, ჯუმბერ პატიაშვილი, ჯემალ გაგუნაშვილი, გივი კვიჭიძე, ვალერიან მამუკელაშვილი, მერაბ მახარაძე, ნოდარ მეძმარიაშვილი, ჯიმი მიქელაძე, მერაბ ნიკოლაიშვილი, ბორის სარალიძე, ავთანდილ საყვარელიძე, რევაზ ტყემალაძე, კიტა შავიშვილი.**

---

**საქართველოს უროლოგთა ასოციაცია და ალ. წულუკიძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრის თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ცენტრის წამყვანი სპეციალისტი**

**ვლადიმერ კაკაბაძე**

**და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.**



---

**წავიდა ჩვენგან უახლოესი მეგობარი, ქალბატონი**

**დონარა პეტრიაშვილი**

**სპორტული მედიცინის ცნობილი სპეციალისტი, მრავალი წლის მანძილზე თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს წყალბურთელთა ნაკრების ექიმი, ჩვენი დობილი და თანამოაზრე სიკეთითა და სიყვარულით სავსე.**

**ვეტერანი წყალბურთელების სახელით სამძიმარს ვუცხადებთ მის საყვარელ დაიკოს და ნათესავებს.**

**ვოვა გოიაშვილი, ლერი გოგოლაძე, ნოდარ კურტანიძე, ოთარ მიმინოშვილი**

## ინფორმაცია

# თექვსმეტი წლის მშობიარე საოპერაციო მაგიდაზე გარდაიცვალა

**დუშეთში მშობიარობის შემდეგ გარდაცვლილი 16 წლის დიანა დიდებაშვილის ოჯახი მომხდარში გინეკოლოგ ირმა მაკალათიას ადანაშაულებს.**

**– მშობიარობის მესამე დღეს გაუსაძლისი ტკივილები ჰქონდა. ითხოვდა, რომ ექიმი მისულიყო მასთან, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდნენ. 29 იანვარს საშინელი მუცლის ტკივილი დაეწყო. მეუღლეს დაურეკა, შველა სთხოვა და საავადმყოფოს ექიმმა მეუღლის თანდასწრებით უთხრა, რომ მშობიარობამ იცის და ისტერიკებს ნუ აწყობო. ტკივილებს ველარ უძლებდა და მცხეთაში წაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც საშვილოსნო ამოუღეს და საოპერაციო მაგიდაზე გარდაიცვალა, – აცხადებს გარდაცვლილის მამამთილი ანზორ პაპკიაური.**

**– ოპერაცია მცხეთაში ღუდუშაურის საავადმყოფოს ექიმმა გაუკეთა და თქვა, რომ ეს მომაკვდავი რაღას მომიყვანეთ საოპერაციოდო. ვუჩივით დუშეთის ექიმს, მაგის ბრალია ყველაფერი, – ყვება გარდაცვლილის მამამთილი.**

**ახალდაბადებულის ჯანმრთელობა ნორმალურია.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**დღესასწაული**

# ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის „მანუგეშებელი“ დღესასწაული



**3 თებერვალს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ღვთისმშობლის ხატის „მანუგეშებელი“ ხსენებას.**

...ცნობილია, რომ ათონზე, ვათოპედის ხარების ეკლესიაში იმყოფება ეს ცნობილი უძველესი ხატი. ხატის შექმნის ისტორია ასეთია: ის კონსტანტინე დიდის მეფობის დროს აიგო. სწორედ ამ მონასტრის სიახლოვეს 395 წელს უფლისწული არკადი გემბანიდან გადავარდა და დიდი ძებნის შემდეგ მონასტრის ახლოს, ბუჩქის ძირას იპოვეს (ვათოპედი — ბერძნულად ნიშნას ყმაწვილის ბუჩქს) უფლისწულმა ყველას უამბო, თუ როგორ იხსნა იგი ღვთისმშობელმა სასწაულებრივად. სწორედ იმ ბუჩქის ადგილას აღიმართა ტაძრის საკურთხევლის ნაწილი.

საგულისხმოა რომ 807 წელს ყაჩაღთა ბანდას თავდასხმა ჰქონია მონასტერზე. წინამძღვარს ხატიდან მოესმა ხმა, რომელმაც მონასტრის კარიბჭის გაღება აუკრძალა. ამ წუთებში ხატი სასწაულებრივად შეიცვალა, თითქოს გაცოცხლდა, ყრმამ ყოვლადწმინდა დედას ხელი ააფარა ბაგეზე, მაგრამ ქალწულმა მარიამმა პირი იბრუნა და გაფრთხილება გაიმეორა... ყველამ იხილა ღვთისმშობლის გამოსახულება — ყრმა უფლის ხელს არიდებდა სახეს.

ხატი ავადმყოფების შემწედ ითვლება.

**გიული ლიპარტია**

**ხსოვნა**

# ეთერ კობიაშვილი

მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში თუნდაც მცირე ხნის შემოსულს, შეუძლებელია არ შეემჩნია დახვეწილი, ევროპული გარეგნობის ქალბატონი **ეთერ კობიაშვილი**. ჩვენ მას სასახლის მემატიანედ ვთვლიდით. იგი ამაყობდა იმით, რომ სასახლის დაარსების პირველივე დღეებიდან მოღვაწეობდა. ის მრავალი ცნობილი თბილისელის ბავშვობის მოწმე იყო. მას უყვარდა და განშორება უჭირდა იმ ადგილთან, სადაც თავისი ცხოვრების უდიდესი ნაწილი გაატარა. სასახლე მუდამ თავისად მიაჩნდა, ამიტომაც ბოლომდე მისი ერთგული დარჩა. გულით განიცდიდა სასახლეში და მის გარეთ მიმდინარე ყველა მოვლენას. ის ხომ ამით ცხოვრობდა და თავს მოვალედ თვლიდა მისთვის ებრძოლა, როცა კი საჭირო იყო. სასახლეში მოღვაწეთ კი მხოლოდ ერთი კრიტერიუმით აფასებდა — საქმისადმი ერთგულებითა და პატიოსნებით. ამიტომაც, მის თვალწინ ჩამოყალიბებული სასახლის ყველა მუშაკი არასდროს თაკილობდა მისგან შენიშვნას თუ რჩევას. მისეული შეფასება კი ყოველთვის სწორი აღმოჩნდებოდა-ხოლმე.

ქალბატონი ეთერის განვლილი გზა და მისი დამოკიდებულება თვითოეული ჩვენგანთან უფლებას გვაძლევდა დავრჩენილიყავით მის მეგობრებად, ჩვენი ნახვით გახარებული უამრავ შეკითხვას გვისვამდა სასახლის შესახებ. ასევე მოიკითხავდა ჩვენს შვილებს და ახარებდა მათი წარმატება. ჩვენ კი მუდამ გვთხოვდა, შეგვენარჩუნებინა ერთმანეთზე ზრუნვისა და ერთმანეთის გატანის სასახლისეული ტრადიცია.

ქალბატონი ეთერი ბოლომდე თავისი ღირებულებებისა და პრინციპების ერთგული იყო. საყვარელი მეუღლის დაკარგვის მერე, ის სადად და უპრეტენზიოდ ცხოვრობდა. თუმცა განებივრებული იყო დისშვილებისა და მათი შთამომავლების ყურადღებით, თვითონაც ყველა ახსოვდა და ყველასათვის ჰქონდა საჩუქარი.

ეთერი ანდრეევნა (მხოლოდ ასე მიმართავდნენ მას) უზადო გემოვნებით გამოირჩეოდა. სილამაზე და გემოვნება მისთვის ქალურობის საზომი იყო. სასახლის იმდენ ქალბატონებში იგი გამორჩეული იყო. უკვე ხანში შესული მაინც ყველას ჯობდა... რომ არა მისი დამძიმებული გული... საფიცარი დისშვილების უდროოდ წასვლამ და სევდამ მას ყველაფერი დაავიწყა, მისთვის ყველაფერმა ფასი დაკარგა და ცხოვრება უაზრო გაუხადა. მას უკვე იქით, მისიანებთან ეჩქარებოდა და აღარც მალავდა. ველარც ჩვენს ნუგეშს იღებდა. ბოლო წუთებამდე აქტიური ქალბატონი ეთერი ლამაზად და წყნარად გამოგვეთხოვა. წავიდა ვალმოხდილი და გულდაწყვეტილი.

ხსოვნა და არდავიწყება მას! ნათელში ამყოფოს უფალმა მისი სული.

**მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის თანამშრომლები**

**ჩვენი პრესდაიჯესტი**

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### ივანიშვილი საკუთარ პარტიას აძლიერებს

„ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ გაძლიერების პროცესი გრძელდება. პარტიაში გაერთიანებაზე „ეროვნულმა ფორუმმა“ უარი თქვა, სხვებს კი შეთავაზება ჯერ არ ჰქონიათ.

ექსპერტები, პრემიერის სურვილს — განავითაროს საკუთარი პარტია, სხვადასხვა მიზეზით ხსნიან, თუმცა ყველა მათგანს ერთი აზრი აერთიანებს — კოალიციაში შესაძლოა რღვევის პროცესია და ივანიშვილი თადარიგს იჭერს, რასაც საპარლამენტო უმრავლესობაში არ ადასტურებენ.

**„რეზონანსი“**

### დავით კირკიტაძე საპროტესტო აქციებით იმუქრება

ქვემო ქართლის გუბერნატორი დავით კირკიტაძე პერმანენტული საპროტესტო აქციების გამართვით იმუქრება. მისი განმარტებით, 2013 წელს, შარშანდელთან შედარებით, რუსთავის ბიუჯეტმა 25 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 50 პროცენტი კლებაა. კირკიტაძის თქმით, ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ ქვეყანაში შექმნილია საბიუჯეტო კრიზისი, ან ადგილი აქვს ახალი ხელისუფლების მხრიდან რუსთავის წინააღმდეგ მიზანმიმართულ ბრძოლას.

**„ვერსია“**

**ინფორმაცია**

# გაჩერება მოთხოვნით



რა აღარ ხდება ჩვენს დედაქალაქში, მაგრამ ავტობუსების მძღოლებს თუ ტრანსპორტის გაჩერებას იმ ადგილებშიც მოსთხოვდნენ, სადაც მგზავრი არ არის, ამას წარმოიდგენდით? მაგალითად, თემქის დასახლებაში, ჩარგლის ქუჩაზე, სადაც ორი კინკილა სახლი თუ დგას და მგზავრიც სამ საათში ერთხელ თუ გამოჩნდება, მძღოლი იძულებული იყო ავტობუსი სამგან მაინც გაეჩერებინა იმის შიშით, რომ ვინმე „გამოიჭერდა“ და დააჯარიმებდნენ(!) ამ გაუგებრობისგან თავი რომ დაეღწიათ, ტრანსპორტის ხელმძღვანელებმა, ბევრი იფიქრეს თუ ცოტა იფიქრეს, ადგნენ და გაჩერების ნიშანს წარწერა გაუკეთეს: გაჩერება მოთხოვნით. ახლა მგზავრმა თუ ანიშნა მძღოლს წამიყვანეო, მხოლოდ ამ შემთხვევაში გააჩერებს ავტობუსს. მაგრამ ერთ გაუგებრობას მეორე დაემატა, — წარწერა „გაჩერება მოთხოვნით“ იმ მხარეს არის დამაგრებული (უკუღმა), რომელსაც ვერც მძღოლი ხედავს და ვერც მგზავრი!?.

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

**კადრი**



**ანეკდოტები**

**საქართველოს** დამოუკიდებელი მართლმსაჯულება მსოფლიოში ყველაზე დამოუკიდებელი მართლმსაჯულებაა.

ის კანონზე საერთოდ არ არის დამოკიდებული.

— **დაშა**, ფული პიჯაკის ჯიბეშია. აიღე, რამდენიც გჭირდება, — ეუბნება ქმარი ცოლს.

— კიდევ ერთი ამდენი მჭირდება, — უპასუხებს ცოლი მისი პიჯაკის ამოცარიელების შემდეგ.

* * *

— **ცოლს** ბრილიანტის ბეჭედი ვუყიდე და უკვე ორი კვირაა, არ მელაპარაკება.

— რატომ?

— ასეთი იყო პირობა...



* * *

**სინამდვილეში** ოჯახში მთავარი ქმარია. ხოლო თუ ქმარი თვლის, რომ ის არის მთავარი, მაშინ ცოლი უფრო ჭკვიანი ყოფილა.

* * *

**ცოლებზე** ბედნიერი კაცი არ მეგულება — ისინი სიდედრებს უყვართ!

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com